№ 28

ოთხშაბათი, 16 მარტი

1877—1905

№ 28

ოთხშაბათი, 16 მარტი

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველდღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 1 წიგნს

საერთო სათაურით: „**ივერიის ბიბლიოთეკა**“, რელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდე 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иве

---

12 მარტს სოფ. მუხრანში გარდაიცვალა

კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა,

რასაც შვილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ხუთშაბათს 17 მარტს, დილის 11 საათზე. საკუთარ სახლიდან წამოასვენებენ სასახლის ეკკლესიაში, სადაც დაკრძალულ იქნება. პირველი მატარებელი გადის დილის 7 საათზე და 20 წ. სადგურ ქსანზე ეტლები მზად იქნება. (1—1)

ბარბარე სულხანის ასული თულაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობ ძვირფასის ქმრისა და მამის სტატსკი სოვეტნიკის

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილის

უეცრად გარდაცვალებას. ცხედაგამოსვენებენ ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში ოთხშაბათს, 16 მარტს, დილის 10 სზე, განსვენებულის ბინიდან (სერებრიანი ქ., საკუთ. სახლი). პანაშვიდები ყოველ-დღე, საოს 7½ საათზე. (2—2)

ცირი ძმათა ნიკიტინებისა.

ოთხშაბათს, 1 არტს, დიდად საყურადღებო წარმოდგენაა 3 განყოფილებად. სხვათა შორის, ბრთება **ორი კავკასიური ჭიდაობა** ერთ საღამოს **ოთხ კავკასიელ საუკეთესო მოჭიდავეთა შორის.** 1-ლი კავკასიური ჭიდაობა: ცნობილი ჰ კულესი ფალ ნი **რომო** დაეჭიდება ახლად ჩამოსულს კავკასიელ ცნობილ ფალავანს **ქობულიოს.** ჯილდო 25 მან. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **დათიკო სანიკიძე** აჭიდება ცნობილ ფალავანს **ჯიბგირს.** ჯილდო—ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8½ სთ. (1—1)

საარტისტო საზოგადოების თეატ

ხუთშაბათს, 17 მარტს, გამართული იქნ

კონცერტი.

ქართული საფილარმონიო საზოგადოების ნხის გასაძლიერებლად

მონაწილეობას მიიღებენ: კნ. **სოფიო დ. დიაძისა**, კნ. ბარბარე მ. ამირაჯიბისა, კნ. ანასტასია ნ. ჯამბაკურ-ორბელიანისა და ქალ. ბ. ტ. ზაგიუ. ბბ. ს. ა. ბარხუდარიანი, ა. გ. რჩეულიშვილი, ა. პ. მირაშიჩი, ს. ა. ნასიძე, მ. ფ. ქორიძე, ილ. აბაშიძე და ქართული ხორო და ორკესტრი ზაქ. ფალიაშვილის დირიჟობით.

ბილეთების ფასი 5 მან.-დან 70 კ. მოსწავლეთათვის 45 კ.

დასაწყისი საღამოს სრულ 8½ საათზე

ბილეთბი იყიდება „საარტისტო საზოგადოების“ სახლში.

პასუხის მგებელი კონცერტის გამართვაში საზოგადოების თავმჯდ. ი. ა. **სულხანიშვილი**. (3—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირადღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე-თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანი და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გმართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ბადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე, იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კაროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაჩაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიათ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

სახლის პატრონი და ბინის დამქირავებელი.

ამ დღეებში ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ ბინის დამქირავებელნიც გაფიცვის მოხდენას აპირობენო. ბევრი მათგანი აღარ აძლევს სახლის პატრონებს ბინის ქირას; ბევრი გადადის ძვირფასს ბინებიდან იაფფასიან ბინებზე, ზოგი არღვევს ძველ კონტრაქტებს და ევაჭრება ახალს ფასებშიო, და სხვ.

სახლის პატრონები დიდს საგონებელში არიან. ხან ჯავრობენ და იმუქრებიან, ხან-კი შიშობენ და უთმობენ. უმეტეს ნაწილად ისინი ეხტიბარს არ იტებენ, საქმეს ძველებურად უყურებენ და ამ მოვლენასაც არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ...

ჩვენ გვეგონა, რომ ეს ხმები ყურადღების ღირსია. ამჟამად, როდესაც ირგვლივ მთელი ჰაერი „გაფიცვის სულით“ არის გაჟღენთილი, ყველაფერს უნდა მოველოდეთ და არაფერი გვიკვირდეს.

ჩვენს შეკითხვაზე ამ ამბების გამო, ერთმა სახლის პატრონმა არხეინად გვიპასუხა: ეჰ, მოგცლიათ თქვენ, „რაბოჩები“ ხომ არ არიან, რომ „ზაბასტოვკა გააკეთონ“. სად უნდა წავიდნენ, ქუჩაში ხომ ვერ გაათევენ ღამეს? ფულს არ მომცემენ—ვუჩივლებ და გადავახდევინებ! ჩვენს ხელში არ არიან? თუ მაგათ პირი შეჰკრეს, განა ჩვენ ვერ შევკრავთ პირს? ძალა ჩვენს ხელშია, თუ მოვინდომეთ, მაგისთანა მდგმურებს არსად აღარ დავაყენებთ და, რომ გაუჭირდებათ, თვითონვე შეგვეხვეწებიან.

ასეთმა პასუხმა ძალა-უნებურად მომაგონა ამნაირივე მსჯელობა, რომელიც არა ერთხელ გაგვიგონია წინად ჩვენის მემამულეებისაგან. ისინიც მუდამ თავის ძალაზე იცნებობდნენ და იმის მაგივრად, რომ გლეხის ვითარებას ჩაჰკვირებოდნენ,—გაიძახოდნენ: გლეხი როგორ გაბედავს ან როგორ მოახერხებს სოფელში გაფიცვა მოახდინოს—მეორე დღესვე შიმშილით მოკვდებაო!...

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ გლეხმა კიდეც გაბედა გაფიცვა, კიდეც მოახერხა და არც შიმშილით მომკვდარა. განა ბინის დამქირავებელიც ვერ მოახერხებს რამეს?

ამ შემთხვევაში „გაბედვა და მოხერხება“ ანგარიშში მისაღები არ არის. უკიდურესი გასაჭირი ადამიანს ყველაფერს გააბედვინებს. მხოლოდ იმას უნდა მივაქციოთ ყურადღება, არის თუ არა ეს „გაჭირვება“, აგრეთვე არის თუ არა მზად ნიადაგი უკმაყოფილების გასავითარებლად და ურთი-ერთობის გასამწვავებლად.

მე მგონია, რომ ასეთი ნიადაგი მზად არის და სახლის პატრონების აღვირ-ახსნილი ჯიბის ინტერესი კიდევ უფრო განამტკიცებს ამ ნიადაგს...

მართლაც, რა პირობებში არიან ბინის დამქირავებელნი, რას იხდიან, რა უფლებები აქვთ, როგორ ეპყრობიან მათ სახლის პატრონები, რა თვალით უყურებს მთავრობა და ახლანდელი საზოგადოება? საზოგადოდ როგორ გრძნობენ მდგმურები თავს სახლის პატრონების ხელში?

ერთმა მდგმურმა ნაღვლიანად მითხრა: ხომ გინახავს ობობას ქსელი? ობობა გამართავს ხოლმე მოხერხებულ ადგილას ქსელს და თვითონკი გვერდით მოუჯდება. ეს ქსელი მისი მარჩენალია. ბუზი თუ მწერი ძალა-უნებურად ეარდება შიგ და ობობა ნელ-ნელა სწოვს სისხლს და იკვებება. ჩემი სახლის პატრონის ხელში მეც ასეთი მწერის ბედი მხვდა. განძრევასაც არ მაცლის. ფული წინდაწინ უნდა ვაძლიო და ვაძლიო თითქმის იმის ნახევარი, რასაც მე ვშოულობ; ბავშვები ნახევრად დამშეულები მყავს, მაგრამ ეს უნდა ვითმინო და სახლის პატრონს კი ყოველთვის გავუსწორდე. მემუქრება, ქუჩაში გავაგდებო. ამასთან ყოველ წელს მიმატებს ბინის ქირას. მე ჯერაც არა ვარ მიმხვდარი, რატომ მიმატებს ამ ქირას. რამდენადაც სახლი ძველდება, იმდენად მისი პატრონი მეტს ფასს ადებს და მეტს შემოსავალს მოელის. ღვინოზე კიდევ მესმის, რაც ძველია, მით უფრო მაგარი და კარგი ხდებაო, მაგრამ სახლის შესახებ კი ვერ გამიგია. კედლები ენგრევა, ფუძდება და ფასი კი მაინც მეტი უნდა ჰქონდესო. ვერ გამიგია, რატომ ღირს ამ სახლის ქვეშ მიწა წელს საჟენი, მაგალითად, ასი მანათი და ორი ან სამი წლის შემდეგ კი 150 ან 200 მანათად ფასობს, აგერ ამ ქუჩაზე საჟენი მიწა ორი ათასი მანათი ღირსო და ცოტა მოშორებით იმაზე უკეთესი მიწა კი საჟენი ორ მანეთად იყიდება, მაგრამ არავინ ყიდულობსო. დავანებოთ ამას თავი! ჩემი ჭკუა ამას ვერ დასძლევს, მაგრამ ეს მაინც ამიხსენით, რატომ მახდევინებენ კიდევ ზედ მეტად ბინის გადასახადს! სახლის პატრონს ცალკე უნდა ვაძლიო და ხაზინას ცალკე. ეს იმიტომ ხდებაო, ამიხსნა ერთმა ჩემმა მეზობელმა, რომ ბინა სახლის პატრონისა არის და იმისთვის ფული მასვე უნდა აძლიო, ჰაერი კი, რომლითაც სუნთქავ ბინაზე, არის ხაზინისა და ჰაერისთვის გადასახადი ხაზინას უნდა აძლიოვო. მეხუმრებოდა ჩემი მეზობელი, დამცინოდა, თუ მართალს მეუბნებოდა,—არ ვიცი, მაგრამ ეს კი დღევანდლამდის მაწუხებს, რომ ფულს მახდევინებენ და სამაგიეროდ კი არავითარ უფლებას არ მაძლევენ. სახლის პატრონი ჩემის ფულითა ცხოვრობს, მაგრამ არას დროს არაფერს მკითხავს სახლის უკეთესად მოწყობისა ან გაუმჯობესობის შესახებ. ამან უფრო გამაგულისა: ბატონად თვითონ სახლის პატრონიც კი მეზარებოდა და ეხლა კიდევ „დვორნიკი“ დამიჯდინა თავზე. ჩემთვის არაფერი არ უკითხავს, ისე მოიწვია ვიღაც კაცი, რომელიც არავის საშველს არ გვაძლევს. სტუმარი ჩვენთან ვერ მოსულა და ვერც წასულა, სახლშიც ვერაფერი შეგვინახავს, რომ „დვორნიკმა“ თავის ცხვირი არ ჩაჰყოს შიგ. გემრიელად პური ვეღარ გვიჭამია. ხან წყალი შემოგველევა, ხან ჰიშკარს დაგვიკეტვენ და სახლში აღარ გვიშვებენ, ხან აყარებელ ხალხს შემოყრიან ეზოში და მყუდროებას გვირღვევენ. სიტყვა ვეღარ ამოგვიღია. ერთიანად გავწვალდით. ეინც ღარიბები ვართ ან ქუდზე ჩინოვნიკის „კაკარდა“ არ გვაკრავს, ბარგი უნდა ავიკრათ და აქედან გადავსახლდეთ და ან ყოველივე ადამიანური გრძნობა გულში უნდა ჩავიკლათ და დავმორჩილდეთ. ხაზინის სასარგებლოდ რომ გადასახადი დაგვადეს, გვეგონა, აქ მაინც მოგვცემდნენ რაიმე უფლებასო, მაგრამ აქაც მოვტყუვდით. გადასახადი ჩვენგან მიაქვთ და ქალაქის საქმეებშიც კი არავითარი ხმა არა გვაქვს, ჩვენს მაგივრად ჩვენზე მხოლოდ ჩვენი სახლის პატრონები ზრუნავენ და მსჯელობენ, სწორედ ისე, როგორც ბატონყმობის გადავარდნამდის ყმებზედაც მათი ბატონები ზრუნავდნენ. გვეყოფა ამდენი იმათი ზრუნვა, ჩვენვე უნდა მოვუაროთ ჩვენს თავს და პატრონობა გავუწიოთ.

ასე ლაპარაკობდა ჩემი მეზობელი და, ეჭვი არაა, გულწრფელად ამბობდა ამ სიტყვებს.

ეკონომიური ბრძოლა ამ ნიადაგზე დიდი ხანია არსებობდა, მაგრამ გამარჯვება ჯერ ყოველთვის სახლის პატრონების ხელში იყო, თუმცა კი ისინიც არ უმადლოდნენ ბედს და მუდამ ჩიოდნენ: ჩვენ ტყუილად ვითვლებით სახლის პატრონებად, სახლები ჩვენი კი არა, ბანკებისა არის. ვერ ავუთავდით იმათ პროცენტებს, ვერ ავუთავდით აგრეთვე ათასს გადასახადს: ეს ქალაქის სასარგებლოდ არისო, ეს ხაზინისაო, ეს წყალისთვის, ეს კანალიზაციისთვის, ეს დვორნიკისთვისო, ყველა ახალ მდგმურს ბინაზე ხელახალი რემონტი უნდა გავუკეთოთ; რომ ვინმე გადავა სახლიდან, რამდენსამე თვეს ბინა შემოსავალს არ იძლევა... ჩვენ ასეთ პირობებში სახლის პატრონები კი არა, სახლის მხოლოდ ყარაულები ვართო. ამ ყარაულობაშიაც არაფერი გვრჩებაო.

ასე წუწუნებენ სახლის პატრონებიც. ამ საერთო წუწუნში ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ აქაც, როგორც საზოგადოდ ჩვენი ცხოვრების სხვა მხარეებშიც, ბევრი უსწორ-მასწორობა, უსამართლობა და მოუწყობლობა არის. ყველაფერი ეს უნდა გამოირკვეს და შესაფერი წამალიც დაედოს.

თორემ ქალაქის მცხოვრებთა იმავე მდგომარეობაში დატოვება, როგორშიაც დღეს არიან, ყოვლად შეუძლებელი არის. ტფილისში ისეთი სიძვირეა მიწებისა, რომ მცირე შემოსავლის მქონებელი სახლი ეკონომიურად სრულიად დამონავებულია სახლის პატრონთან. ბინის სიძვირე ისე აუტანელ ტვირთად გვაწევს ყველას, რომ სულს ვეღარ ვიბრუნებთ და კულტურულ მოთხოვნილებებს ვეღარ ვიკმაყოფილებთო.

ქალაქის თვით-მართველობის მოვალეობაა იზრუნოს ამ საგანზე და ისეთი ღონისძიებანი გამონახოს, რომ ხალხს ცხოვრება გაუადვილოს და ნივთიერი მდგომარეობა გაუუმჯობესოს. კერძო თაოსნობასაც ბევრ რამის გაკეთება შეუძლიან ამ საქმეში.

თუ რაში უნდა გამოიხატოს ქალაქის თვითმართველობის მეცადინეობა და კერძო თაოსნობის მოქმედება,—ამაზე ჩვენ შემდეგ მოვილაპარაკებთ.

ფრიდონ.

ქართლის ამბები

(წერილი ახალქალაქიდან).

9 მარტს სოფ. ახალქალაქში მოვიდა მთავრობისაგან დანიშნული კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ხალხის არა-ჩვეულებრივი მოძრაობის მიზეზი. კომისიაში იყვნენ: ბ-ნი ვეიდენბაუმი, თავადი ლ. ჯანდიერი, გორის მაზრის უფროსი მიტკევიჩი და ბოქაული თ. ყარალაშვილი. ხალხის ყრილობა კანცელარიაში უნდა მომხდარიყო, მაგრამ, ადგილის სივიწროვისა გამო, ხალხი თავ. ნიკოლოზ თარხნიშვილის ეზოში შეიყარა. 12 საათი იქნებოდა, როცა ორმა სამამასახლისომ —მეტეხისამ და ახალქალაქისამ— თავი მოიყარა. ხალხის რიცხვი სამი ათასს აღემატებოდა. მიუხედავად იმისა, რომ წვიმა და დიდი ტალახი იყო, დიდძალი დედაკაცობა და ბავშვობაც დაესწრო. თავ. ჯანდიერმა ხალხს დაახლოვებით შემდეგი სიტყვებით მიმართა: „დღეს ჩვენ მთავრობისაგან ვართ გამოგზავნილი, ხალხის უკმაყოფილობის მიზეზის გასაგებად. მე დამნიშნეს, როგორც ქართველი კაცი და ქართული ენის მცოდნე, რომ უფრო ნამდვილად გადასცეთ თქვენი გულის-პასუხი, რომ უფრო უკეთესად გავიგოთ თქვენი გაჭირვება. გთხოვთ თითო სოფლიდან ამოირჩიოთ 2 ან 3 წარმომადგენელი, რომლებიც გადმოგვცემენ თქვენს მოთხოვნილებებსა“.

ხალხმა მოითხოვა, კრებიდან დათხოვნილ ყოფილიყვნენ პოლიციელნი (მამასახლისი და სტრაჟნიკები), როგორც მათი მუდმივი მტერნი. ამასთანავე მოითხოვეს კრებას თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაც მოშორებოდა. ბ-მა ვეიდენბაუმმა თავად ჯანდიერის პირით გამოუცხადა ხალხს: ჩვენთვის პოლიციელნი საჭირონი არ არიან და, თუ სიტყვას მომცემთ, რომ არავითარ უწესოებას არ მოახდენთ, დავითხოვო. ხალხმა ერთხმად პირობა მისცა. ბ-ნმა ვეიდენბაუმმა სთხოვა დასახელებულთ—კრებიდან გასულიყვნენ.

ხალხმა მოითხოვა წარმომადგენლების ხელუხლებლობაც, რაიც თ. ჯანდიერმა აღუთქვა.

ამორჩეულმა პირებმა სთქვეს, ხალხის გაჭირვება ყოველთვის დიდი ყოფილა და მთავრობა კი არავითარ ყურადღებას არას დროს არ გვაქცევდა. ორმოცი წელიწადია ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ გლეხი ისევ ყმა არის, ისევ მეოთხედს აძლევს ნადელში, რომელიც კანონით გლეხს უნდა ეკუთვნოდეს. რაც გლეხს ამ ორმოც წელიწადში მებატონესათვის მეოთხედი მიუცია, ერთად რომ ვიანგარიშოთ, გამოვა რომ გლეხს უკვე გამოსყიდული აქვს, ამიტომ ვითხოვთ გლეხებს ნადელები უსასყიდლოდ მიეცეთ, ხოლო, ვისაც შესყიდული აქვს, ფული უკან დაუბრუნდეს.

თუ მიწა მებატონეს ეკუთვნის, წყალი მაინც საერთო არ უნდა იყოს? ჩვენ კი წყალსაც ვყიდულობთ, მაგალითად, სოფ. ახალციხემ რომ თავისი მამული მორწყოს, წელიწადში 600 მანათის წყალი სჭირდება. განა ეს სამართალია? წყალი უნდა იყოს საერთო და უსასყიდლო; აქ, საცა ისეთი დიდი წყლებია, როგორც თეძამი და კავთურა, არ გვინდა ისეთი მერაბი, როგორებიც არიან ახლა. გვინდა მერაბი ჩვენი ამორჩეული იყოს. ამაზე ჯანდიერმა ჰკითხა, განა თქვენ არ ირჩევთ მერაბსო? არჩევით თავადები ირჩევენ და ჩვენ ჯამაგირს გვახდევინებენო,—უპასუხეს.

ჩვენ არა გვაქვს ფული, რომ ვექილებს ვაძლიოთ და ამიტომ ვთხოულობთ—მიეცეს სრული უფლება ჩვენ მიერ ამორჩეულ პირთ ჩვენი დამნაშავე ჩვენვე გავასამართლოთ... ჩვენ ჩინოვნიკების, მამასახლისებისა და სტრაჟნიკების ხელში ვართ.

ჯანდიერმა ჰკითხა, განა მამასახლისს თქვენ არ ირჩევთო?

— მამასახლისს ჩვენ ვირჩევთ, მაგრამ მბრძანებლები კი სხვები ჰყავს,—პოლიციელნი,—ზევიდან უბრძანებენ და ისინიც ძალა-უნებურად ჩვენი ჯალათნი ჰხდებიან. გთხოვთ გამოიცვალოს ეხლანდელი კანონები და სულ შეიცვალოს ეხლანდელი მმართველობა. ჩვენც მოგვეცეს ნება ამოვარჩიოთ წარმომადგენელი განურჩევლად ეროვნებისა, წოდებისა, სარწმუნოებისა და სქესისა. არჩევნები უნდა მოხდეს დაფარულის კენჭის ყრით, სადაც შიშსა და ძალას ადგილი არ ექნება.

მოგვეცეს სიტყვის, ბეჭდვის, კრებისა და კავშირების თავისუფლება. მოისპოს ყველა არა-პირდაპირი გადასახადები და მის ნაცვლად დაკანონდეს გადასახადი შემოსავლის ქვალობაზე—ვისაც 500 მან. ნაკლები შემოსავალი აქვს, ხარჯისაგან განთავისუფლდეს.

მოისპოს მუნჯური მეთოდი, რომელიც დღეს ჩვენ ბავშვებს გონებას უბნევს. დაწესდეს სოფლებში სასწავლებლები არა ნაკლებ ორ-კლასიანისა და სწავლა უსასყიდლო და სავალდებულო იყოს 16 წლამდის. სწავლა დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს და რუსული ენა სავალდებულო უნდა იქნეს, როგორც სახელმწიფო ენა. სკოლაში იყოს სამეურნეო და სატეხნიკო განყოფილებანი. მღვდლები სასწავლებლებიდან დათხოვნილ იქნენ, რადგან იგინი ბავშვებს რაღაც შიშს უნერგავენ.

მოისპოს სტრაჟნიკები, რომელიც ძლიერ გვაწუხებს: ჩვენი შვილები მიჰყავთ სალდათად შორს ქვეყანაში, სადაც ჰავას ვერ იტანენ და უდროოდ იხოცებიან.

— არ იყოს სარწმუნოებრივი დევნა, აი, როგორც დუხაბორები გასდევნეთ, ისინი აქ იყვნენ და იმათი გაჭირვება ჩვენ თვითონ ვნახეთ. დაკანონდეს სარწმუნოების თავისუფლება.

იყოს პიროვნების ხელშეუხებლობა და მოისპოს სახლების გაჩხრეკა.

ჯანდიერმა უთხრა სახლში კაცის მკვლელი რომ დაიმალოსო?

— ჩვენ თვითონ მივსცემთ კაცის მკვლელს სასამართლოს განა ჩვენ იმდენად მოუმზადებლები ვართ, ბოროტ-მოქმედნი დავმალოთო?

სახელმწიფო მამულით ისარგებლონ გლეხებმა უსასყიდლოდ. ნება მიეცეთ გამოიტანონ მემამულის ტყიდან უფასოდ შეშა, ფიჩხი და სხვა, რაც კი დასჭირდება სახლისთვის, მხოლოდ სპლარო ხეზე გადაიხადონ ბაჟი.

ჩვენ მიწა-წყალზე, სადაც ჩვენი სისხლი დაღვრილა, ნუ ასახლებთ სხვა ტომს (თუ არ კავკასიელთ). გვქონდეს მუქთი საძოვარი.

სადალე მიწებიდან მემამულეს მიეცეს მარტო მეათედი.

ეს ზემოხსენებული თხოვნები, რაც შეიძლება, ჩქარა აგვისრულონ. ჯანდიერმა უპასუხა,—იმ ხალხს, რომელიც ასე დამშვიდებით თხოულობს მოქალაქეობას, და ბანს აძლევს მთელ რუსეთს, არ შეშვენის უწესოება და ძალ-მომრეობაო. ბ-ნმა ვეიდენბაუმმაც დაუმატა: ჩექმის შეკერვასაც კი დრო უნდაო და ამოდენა საქმის გაკეთება უცბად როგორ მოხერხდებაო.

თავ. ჯანდიერმა აღუთქვა ხალხს, ჩავალთ თუ არა ტფილისს (კიდევ სხვა სოფლებიც ჰქონდათ დასავლელი), დღე იქნება თუ ღამე, ამ თხოვნას გადავათეთრებთ და მთავრობას წარვუდგენთო.

თ. თარხნიშვილისა.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

14 მარტი.

სალიანი, 14 მარტი. ამ უკანასკნელს ხანებში სპარსელ ავაზაკთა ბრბოებმა მოუხშირეს საზღვრებზე გადმოსვლა, შემოდიან რუსეთის სამფლობელოში და მცხოვრებთ სძარცვავენ. 12 მარტს ავაზაკებსა და სტრაჟნიკებს შორის სროლა ასტყდა. მოკლულ იქმნა პოლიციის 5 სტრაჟნიკი.

ოდესა, 14 მარტი. რუსეთ-დუნაის საზოგადოებამ ნავოსნობა განაახლა და გაგზავნა პირველი გემი „დუნაი“.

მოსკოვი, 14 მარტი. ახალს სესხს დიდძალი მსურველი ეტანება. სანამ ოფიციალურად გამოაცხადებდნენ, ბანკებში აუარებელი მთხოვნელი მიდიოდა ახალის ობლიგაციებისათვის.

პარიზი, 14 მარტი. ჩინეთის გაწრთვნილ-მოწესრიგებული ლაშქარი შესდგება 20 კორპუსისაგან. აქედან 18 კორპუსი დაიჭერს შუაგულ და უმთავრეს პროვინციებს. ერთი კორპუსი თურქესტანში გაიგზავნება, ხოლო უკანასკნელი პეკინსა და მისს მიდამოებში დარჩება. თითოეულს კორპუსში ორ-ორი დივიზია იქნება,—თითო დივიზიაში—12 ბატალიონი ქვეითი ჯარისა, ერთი პოლკი კავალერიისა და ინჟინერთა როტა.

კიევი, 14 მარტი. პროფესორ ტრიტშეს თავმჯდომარეობით მოხდა კრება კიევის მკურნალთა საზოგადოებისა. კამათმა გამოიწვია კიევის საქალაქო სასანიტარო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება,—მკურნალთა საზოგადოებამ თავისი საჭიროებანი უნდა განაცხადოსო. კრების თავმჯდომარემ მკურნალთა ყურადღება მიაქცია ხალხის ჯანმრთელობის სამწუხარო მდგომარეობას და სთქვა: აუცილებლად საჭიროა, ყველას, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა, შეეძლოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა და ამასთანავე უთუოდ საჭიროა ვიშუამდგომლოთ, რაც შეიძლება, ფართოდ განვითარდეს სწავლა-განათლება, მიენიჭოს სასწავლებლებს აკადემიური ავტონომია, გაუქმებულ იქმნას სასწავლებლებზე ადმინისტრაციის აპეკა და დაცულ იქმნას შრომის ყოველგვარი ფორმათ. რეზოლიუციას გაუგზავნიან მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარეს.

თავრიზი, 14 მარტი. ქალაქში სიწყნარეა. ამ დღეებში მოელიან აქედან მემკვიდრის წასვლასა და თეგერანიდან გუბერნატორის მოსვლას.

მოსკოვი, 14 მარტი. უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომელთაც მეორე ნახევარ-წლის სწავლის ფული არ შეუტანიათ, ნება მიეცათ, თუ 1-ლ მაისამდე შეიტანენ სწავლის ფულს, ისევ განაახლონ სწავლა.

საბა მოროზოვის ფაბრიკებში ოცა ათასმა მუშამ მუშაობა განაახლა. ფაბრიკებისა და ქარხნის პატრონთა საბჭომ ასეთი აზრი გამოსთქვა: მუშათა მოძრაობის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საფაბრიკო-საქარხნო კანონმდებლობა ვერ აკმაყოფილებს მუშათა მუშაობის რთულს მოთხოვნილებას და, გარდა ამისა, სრულიად არ იცნობენ ჩვენის ვაჭრობა-მრეწველობის ნამდვილ მდგომარეობასაო. გაფიცვათა თავისუფლებას საბჭო სასურველად სცნობს. სასურველადვე სთვლიან მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადო კავშირი შესდგეს.

რომი, 14 მარტი (სტეფანი). მილანელმა პროფესორმა ჯუზეპე დევიმ ჭლექის ახალი წამალი მოიგონა. მეფეს უკვე შეატყობინა. ახლა პროფესორი სამზღვარ გარედ მიდის, რომ თავისი აღმოჩენა გამოაქვეყნოს.

პარიზი, 14 მარტი. გერმანიის იმპერატორმა ამიენში გაჰგზავნა წარმომადგენელი, ჟულ-ვერნის ქვრივს იმპერატორის მხრივ მიუსამძიმროს.

სტამბოლი, 14 მარტი. კრიტის დასავლეთ ოლქებში საწინააღმდეგო მოძრაობა გაძლიერდა. მაჰმადიანების ოჯახები საკუთრებას თავს ანებებენ და განეაში გარბიან. სოლნიაში ჯარს ორი ათას კაცამდე აჯანყებულებთან შეტაკება მოუხდა. აჯანყებულებს გადაწყვეტილი აქვთ, დღეს გამოაცხადონ კრიტისა და საბერძნეთის შეერთება.

პეტერბურგი, 14 მარტი. გამოქვეყნებულია კონვენცია იმ დავის გასარჩევად, რომელიც შესაძლოა ატყდეს რუსეთსა, შვეციასა და ნორვეგიის შორის; აგრეთვე - შეთანხმება რუსეთისა და ნორვეგიის სააქციონერო საზოგადოებათა და სხვა სავაჭრო, სამრეწველო და სათაოსნო ამხანაგობათა.

პროსკოვეა (სტავროპოლის გუბ.), 14 მარტი. გუშინ სოფელ პაკოინის გლეხთა ყრილობამ ადრესით უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუცხადა მეფეს და მოახსენა, მეფესა და სამშობლოს გულისათვის მზად ვართ ყოველივე ქონება და ცოლ-შვილიც კი გავწიროთო. ყრილობამ დაადგინა, ფლოტის გასაძლიერებლად ასი თუმანი გადასდოს.

პეტერბურგი, 14 მარტი. ცარსკოე სელოს სასახლეში ხელმწიფე დედოფალმა მიიღო შეერთებულ შტატების ელჩი მაკ-კორმიკი გამოსათხოვებლად. ის ელჩი სხვა ახალ ადგილზე იქმნა გადაყვანილი. გაზეთების ცნობები იმის შესახებ, რომ იმ კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სამრეწველო ახალი გადასახადებიც - აღარ შესდგებაო, სიმართლეს მოკლებულია. ეს სხდომა უეჭველად შესდგება აღდგომის მეორე კვირას. იუსტიციის სამინისტროს პირველი დეპარტამენტის დირექტორი კრიჟანოვსკი დაინიშნა ადგილობრივ მთავარ მწარმოებლის უფროსის თანაშემწედ.

ასხაბადი, 14 მარტს. „ზაკასპისკოე ობოზრენიე“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ კოჩანში მცხოვრებლები აჯანყებულან. რუსეთის ქვეშევრდომნი აქეთ-იქით გაფანტულან. რუსის ერთი ოჯახი 13 მარტს გაუდანში მისულა.

ვარშავა, 14 მარტი. „ვარშავის დნევნიკ“-ში დაბეჭდილია ოფიციალური ცნობა შემდეგი სათაურით: „ორი აფეთქება“. გუშინ საღამოს 8 საათზე პრაგის ნაწილის პოლიციელების სახლში, სადაც ოთხი პოლიციელი და ორი უცხო კაცი იმყოფებოდა, შევიდა ვიღაც უმაწვილი კაცი და ყუმბარა გადისროლა. საშინელი აფეთქება მოხდა: სახლის ერთი კედელი გასკდა, ფანჯრები სულ ჩაიმტვრა. სახლში მყოფი პოლიციელები: ბილერი, სარაპი, ჩეპლიანოვიჩი, მენტილინსკი და ის ორი უცხო კაციც დაიჭრნენ. დამნაშავე გაიქცა. მას პოლიციელი ჩეპლიევიჩი გამოეკიდა, მაგრამ გაქცეული მოუბრუნდა და რევოლვერით სასიკვდილოთ დასჭრა. ამ დროს მოვიდა აფეთქების ხმაურობით შეშინებული ბოქაულის თანაშემწე შტაბს-კაპიტანი ი ხვოშჩინსკი და დამნაშავე შეიპყრეს. ბილერი, მენტილინსკი და ერთი უცხო კაცი მძიმედ არიან დაჭრილები. აფეთქების ადგილას გაეშურა ეტლით ობერ-პოლიცმეისტერი როტმისტრ შეპელთან ერთად, მაგრამ გზაში ამათაც უბედურება შეემთხვათ. ალექსანდროვის ხიდზე ჩასვლასთან ვიღაც ბოროტმოქმედმა ამათ ეტლთა ქვეშ ყუმბარა შეაგდო. საშინელი აფეთქება მოხდა. ეტლი სულ ერთიანად დაიმსხვრა. ბარონი ნოლკენი დაიჭრა თავში და მარჯვენა ხელსა და ფეხში. დაიჭრა გზად მიმავალი ერთი ქალიც. დასისხლიანებული ცხენები ძირს დაეცნენ. პეპელი და მეეტლე გადარჩნენ. დამნაშავე გაიქცა. მას გამოედევნა პოლიციელი გავრილოვი, მაგრამ პოლიციელი მოკლულ იქმნა. ნოლკენი სახლში წაიყვანეს და სამკურნალო დახმარება აღმოუჩინეს. ექიმების სიტყვით საშიში ჭრილობები არა აქვს. აფეთქება ისეთი მძლავრი იყო, რომ ახლო-მახლო სახლების ფანჯრები სულ ჩალეწილია.

ვარშავა, 14 მარტი. ნოლკენი უკეთაა, ტკივილებმა უმატეს.

ბელოსტოკი, 14 მარტი. ფაბრიკებში გახურებული მუშაობაა. ქალაქში სიწყნარეა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

14 მარტი.

სიპინგაი, 14 მარტი, 2 ს. 35 წუთ. ჩვენი მზვერავი რაზმები მიუახლოვდნენ ქალაქ ჩინტოფუს. ერთი მზვერავი შეიპარა ქალაქში და გვაცნობა, რომ იქ იმყოფება ორი ბატალიონი ქვეითა ჯარისა და ორი ესკადრონი ცხენოსანი ჯარისა. აქ-იქ ვხვდებით ხუნხუზების ბრბოს იაპონელების ოფიცერთა და უნტერ-ოფიცერთა მეთაურობით. თბილი დღეებია. ჯარი მხიარულად არის.

პარიზი, 14 მარტი. ჩინეთში გაგზავნილი ფრანგი ოფიცრები იტყობინებიან, რომ ჩინელების ჯარს სწვრთნიან გერმანელი და იაპონელების ოფიცრები. იაპონიის სამხედრო სასწავლებლებში 700 ჩინელი მოწაფე სწავლობს. ახალი ჯარი მე 20 კორპუსისაგან შესდგება.

ლონდონი, 14 მარტი (რეიტერი). იაპონიის საელჩო იტყობინება, ის რუსები რომლებმაც მუკდენთან ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღეს და იაპონელებს ტყვედ ჩაუცვივდნენ, განთავისუფლებულ იქმნენ; ესენი არიან: 47 ოფიცერი, 359 უნტერ-ოფიცერი, 9 სათნოების და, 2 მღვდელი და 4 ვაჭარი, რომლებიც ჯარში იმყოფებოდნენ. საკუთარის თხოვნით გაშვებულ იქმნენ ჩიფუში ან შანხაიში 23 ოფიცერი, 23 სათნოების და 288 უნტერ-ოფიცერი.

შანხაი. გაზაფხული დაიწყო. მუკდენისა და კაიუანის შუა შეასწორეს მანჯურიის რკინის გზა, ახლანდელი სიწყნარე მოულოდნელად დაირღვევა. ლინევიჩს ახლა 180 ათასი კაცი ჰყავს: ამათგან დივიზია-ნახევარი ხარბინთან სდგას და ერთი დივიზია ვლადივოსტოკსა და კორეის საზღვარ შუა. ვლადივოსტოკის განსაცდელისაგან დასახსნელად საჭიროა ერთი კორპუსი ჯარი. ზოგი ჰფიქრობს, ახლა მანჯურიაში რუსის ჯარის რიცხვი 220 ათას კაცს ვერც-კი უწევსო.

ამბობენ, ჩვენს ცხენოსან ჯარ გირინის გზის დასავლეთით მტერთან მცირეოდენი შეტაკება ჰქონია, მუკდეში იაპონელებისაგან ტყვედ წაყვანილი 47 მოხელე, 359 კერძო პირი, 9 [illegible], 2 მღვდელი და 2 ვაჭარი გაანთავისუფლესო.

ბერლინი, 14 მარტი. იაპონელების საელჩო აცხადებს: სიმართლეს მოკლებულია ინგლისის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმები, ვითომც წარსულ წლის მკათათვეში იაპონიის ელჩს ბერლინში მოლაპარაკება უნდა გაემართნა სტატს-სეკრეტარ ვიტტესთან. ამის შესახებ იაპონიის ელჩმა სრულებით არა იცოდა-რა.

პარიზი, 14 მარტი. ხაიმე-ბურბონელი პრინცი მომავალ მაისში ისევ მანჯურიაში დაბრუნდება და რუსის სარდლის შტაბში თავისს თანამდებობის ასრულებას შეუდგება.

(დამატ. დეპეშები იხ. მეოთხე გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

—

რუსეთის ჯარის უკან დახევა. ტოკიოდ ოფიციალურად იუწყებიან, იაპონელებმა რუსები ლიაოხეს ხეობიდან მთლად განდევნესო. აქედან სჩანს, რომ ჩანტიფუს აღების შემდეგ იაპონელები უფრო სწრაფად წასულან წინ და რუსები კუანჩენძისა და იტუნჯოუსკენ გაუდევნიათ (რ.).

„ლოკ. ანც.“-ს ტოკიოდან ატყობინებენ: გენ. ნოგის ჯარი მონგოლიის საზღვრით მიდის და ხარბინის დასავლეთიდან გზის მოჭრას უპირობსო. ხმა დადის, ვითომ ამ ჯარის მოწინავე რაზმები ციციკარისკენ მიდიოდნენ (რ. ს.).

ომი და რუსეთის შინაური საქმეები. საზღვარ გარედ ეხლა რუსეთის შინაურ საქმეებს უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ომს. იაპონელების გამარჯვება ეხლა ყველასთვის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა და ხვალ, რომ იაპონელებმა ვლადივოსტოკი და ხარბინიც აიღონ, არავის გაუკვირდება: ყველა დარწმუნებულია, რომ წრეულს პრიამურის ოლქიც, მთელი მანჯურიაც, ვლადივოსტოკიცა და სახალინიც იაპონელებს ჩაუვარდებათ ხელში და ამიტომ ამ ამბებს მოთმინებითა და გულგრილად მოელის (ნ.).

არაჩვეულებრივი დავლა. კუროპატკინი რომ ბრძოლის ველზე მიდიოდა, რუსეთის ყოველ კუთხიდან აუარებელი ხატი და ჯვარი გამოუგზავნეს საჩუქრად. კუროპატკინმა ყველა ხატი მუკდენში ჩაიტანა და ერთ სახლში მოათავსა. რუსებმა უკან დაწევის დროს ველარ მოასწრეს ამ ხატების წამოღება. აუარებელი ხატებით გატენილი სახლი იაპონელებს ჩაუვარდათ ხელში. იაპონელებმა ხატები შეკრიბეს, დანარჩენ დავლას შეუერთეს და იაპონიაში გაგზავნეს (რ. ვ.).

ოიამას გეგმა. „დეილ ნიუს“-ის სიტყვით მარშალმა ოიამამ გადასწყვიტა თავის ჯარი ორ ნაწილად გაჰყოს. ერთი ლაშქარი—ასი ათასი კაცი, გენ. ნოგის უფროსობით ვლადივოსტოკისკენ წავა და ადმირალ ტოგოს დახმარებით ამ ციხეს ალყას შემოარტყამს. მეორე ლაშქარი—250 ათასი კაცი, მარშალ ოიამას უფროსობით რუსებს ფეხდაფეხ გაჰყვება და ხარბინს მიადგება (რ. ვ.).

რუსეთის ახალი გეგმა. „ლოკალ ანცაიგერ“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: რუსეთმა სამხედრო გეგმა გამოსცვალა და ომის დაწყებას ახლად აპირობს. მანჯურიის მთავარსარდლობა გენ. ლინევიჩს დროებით ჩააბარეს. ჯერ-ჯერობით სამხედრო დასს მეორე, ზავის მომხრე დასი უწევს წინააღმდეგობას, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ გამარჯვებული სამხედრო დასი გამოვა. როცა სამუდამოდ გადასწყვეტენ ოთხას ათას კაცის გაგზავნას ბრძოლის ველზე, მანჯურიის ჯარისა და ფლოტის მთავარსარდლობას რომელსამე დიდ მთავარს ჩააბარებენ (უფრო ნიკოლოოზ ნიკოლოზის ძეს ასახელებენ). ახალი სამხედრო გეგმა დაწვრილებით არ არის შემუშავებული, მაგრამ ამას ბევრი დრო არ დასჭირდება. ამ გეგმის თანახმად, რუსებს უნდათ იაპონელები შუაგულ ციმბირში შემოიტყუონ, მოჰქანცონ, მოთმინება დააკარგვინონ და ამოდენა ჯარის შესანახად საჭირო ფული გამოულიონ. რუსები ხარბინსაც დაუთმობენ იაპონელებს და იმედი აქვთ, რომ იაპონია მანჯურიაში აუარებელ ჯარს ველარ შეინახავსო. მაგრამ საქმე სულ უკულმა მიდის. რუსებს ფული შემოაკლდათ, საზღვარგარედაც უარს ეუბნებიან, ვერ გასესხებთო; იაპონელებმა კი მუკდენის ბრძოლის შემდეგ ხელადვე იშოვეს 300 მილიონი მანათი, მტკიცედ სწამთ თავიანთი ძალა და ამიტომ არხეინად არიან (რ. ვ.).

რუსეთს საფრანგეთში სესხის აღება უნდოდა. მაგრამ მუკდენის დამარცხებამ საქმე გააფუჭა. იანვრის გასულს პეტერბურგში ამოვიდნენ საფრანგეთის კაპიტალისტთა წარმომადგენელნი. რუსეთი 1300 მილიონ ფრანკს თხოულობდა. ფრანგებმა უპასუხეს, 1000 მილიონზე მეტს ვერ მოგცემთო. რუსეთი დათანხმდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მუკდენის ბრძოლა დაიწყო და ფრანგებმაც დაუკლეს, 600 მილიონზე მეტს ვერ მოგცემთო. რუსეთი ამაზედაც დათანხმდა, მაგრამ, რაკი რუსეთის ჯარი მუკდენში ძალზე დამარცხდა, ფრანგებმა ისევ დაუკლეს და მხოლოდ 300 მილიონი ფრანკი (112 მილიონი მანათი) შესთავაზეს და ისიც ისეთ პირობებით, რომ სესხის აღება შეუძლებელი გახდა. ფრანგ კაპიტალისტთა წარმომადგენელნი ისევ საფრანგეთში დაბრუნდნენ და საქმეც ჩაიფუშა. ამის შესახებ „ნ. ფრ. პრ.“ სწერს: სანამ რუსეთს სათავეში სამხედრო ბიუროკრატია უდგა, საფრანგეთში დიდ სესხის აღება რუსეთს არც კი უნდა გაახსენდეს. საფრანგეთმა აუარებელი ფული ასესხა

ფელეტონი

გურიის ვითარება.

—

სოფელ ზემოხეთით დროებით დასრულდა ზემო-გურიაში მოგზაურობა. აქედან ბ-ნმა კრიმგირეიმ გადაწყვიტა ნიგოითის ქედს გადმოლმა გადმოსულიყო და ქვემო გურიის უმთავრესი საზოგადოებები მოევლო. ჩვენც გავსწიეთ იქითკენ. მაგრამ არ შემიძლია ზემო-გურიას მოვშორდე ისე, რომ მკითხველს არა გავუზიარო ერთი სურათი, რომელიც მუდამ თვალ-წინ მიდგა. დაბ. ჩოხატაურში მე და ჩემი მეგობარი ვდგევართ ჩვენებურ ოდის აივანზე. ჩვენ პირდაპირ დგას სასოფლო ქსენონი. ათი საათია. ეზოში მეტის ალერსით ექიმი ძაღლებს ეთამაშება. ხან ერთს გადაეხვევა, ხან მეორეს, გაიქცევა ძაღლი, მისდევს უკან, ტრიალობს, ხტუნავს, ხარხარებს; ჩანს, ის მეტად მხიარული და აღტაცებულია ამ ძაღლების საზოგადოებით. იმავე დროს ქსენონის წინ თავმოყრილია ავადმყოფები, ზოგი მოხუცებულობით წელში ძალზე მოხრილი, ზოგი მეტად ჩაყვითლებული და ავადმყოფობა მძიმე ლოდად დასწოლია. ყველა ისინი შესცქერიან კარს, მაგრამ გამღები სად არის? მხოლოდ ქსენონის გვერდით ერთი ფანჯარაა გაღებული. აქედან დროთი-დრო ვიღაც ხელს გამოაწვდის და შეგროვილ ხალხს რაღაცა შუშებს აწოდებს—ალბად წამალსა. ასე კურნავენ ხალხს ჩოხატაურის ქსენონში, ასე ზრუნავენ ხალხის ჯანმრთელობისათვის. საყურადღებოა ისიც, რომ ქსენონს რამდენიმე საწოლი აქვს, მარა ჯერ ამ საწოლს ავადმყოფი არ მიკარებია და ეს ასეც უნდა იყოს. სადაც ძაღლებს ადამიანებზე მეტი ფასი აქვს, იქ ექიმობაზე ლაპარაკი მეტია!

გადმოვცილდით ნიგოითის ქედს. შვიდ მარტს შეიკრიბა ნიგოითის საზოგადოება. ყრილობამ ამოირჩია ოცი დეპუტატი, მათში 4 ქალი. წამოდგა წინ ჭაღარით შემოსილი მოხუცი. მე 70 წლის კაცი ვარო,—დაიწყო მან.—8 წლისა ვიყავ, მებატონემ მომაშორა ოჯახს, მოსამსახურეთ წამიყვანა. ჩემი ოჯახი ამით არ განთავისუფლებულა სხვა გადასახადებისაგან. წელიწადში ჩემი ოჯახის გადასახადი იყო—1 ძროხა, 4 საწყავი ღვინო (საწყავი დაახლოვებით ორი ფუთია), 12 ქათამი, ქორის ქათამი—1, მიმინოს ქათამი—1, „სალინის ფული“—20 კ. ასეთი გადასახადი სავალდებულო იყო გლეხის ოჯახებისათვის, რომელნიც მებატონეს მოსამსახურეებს აძლევდნენ. ესენი იყვნენ მსახურიშვილები. უმრავლესობას შეადგენდნენ უბრალო გლეხები. ყოველი მუშა გლეხი იხდიდა 10 ფუთს ღომს, გარდა ამისა კომლი—ერთ ღორს, დანარჩენს ყველაფერს, რაც მსახურიშვილი. ყოველი კომლი ვალდებული იყო გადაეხადა ერთი ფუთი ღომი საცხოო. გარდა ამისა ბატონი თავის ცხენებს არჩენინებდა გლეხებს, თითო კომლს ორ ცხენს და ერთ მეჯინიბეს—ორი თვით, მორიგეობით. სამართალიც მებატონის ხელში იყო. თუ მებატონე კარგი თვალით არ შეგვხედავდა, ჯორკოს შეგვიყრიდა ფეხებში. ხალხი ცხოვრობდა შიშველ-ტიტველი, უპატრონოდ, გაჭირვებული. 1868 წელს ჩვენში გადავარდა ბატონ-ყმობა. გაგვეხარდა, სინათლე იქნება, ცოტას წელში გავიმართებითო. შეადგინეს „უსტავნი გრამოტები“. რაც სავარგისი მიწები იყო, მებატონემ ჩამოჭრა და თავისთვის დაიტოვა, უვარგისი მიწები კი ღრამატაში შეიტანა. ხალხი უკმაყოფილო გახდა, მოლაპარაკება გამართა, ნუ წაგვერთმევა ჩვენი მამულიო. ამ საქმეზე დაიჭირეს რამდენიმე კაცი, სხვათა შორის, ჩემი მამაც. დაკარგეს ისინი, არც ვიცი, სად მოკვდა მამაჩემი. ამნაირად იმ თავიდანვე პოლიციამ პირში ბურთი ჩაგვჩარა, ხმის ამოღება არ დაგვანება. რაკი ჩვენ საკუთარ მიწაზე არაფერი მოდიოდა, იძულებული გავხდით მემამულის მიწაზე გვემუშავა. ღალად ვაძლევდით მესამედს, მეოთხედს. რაც დაგვრჩებოდა, იქიდან ნადელში უნდა მიგვეცა. ჩვენ შემოსავლის მარტო ერთი მესამედი გვრჩებოდა. სანადელო მიწაში ვიხდიდით ქცევაზე 3 გოდორს, მარა სანაწყარო ბატონის იყო, ერთი გოდორი უდრიდა 4 ფუთს, ასე რომ ქცევაზე—12 ფუთი მიჰქონდა. ზოგიერთმა გაიჭირვა, გაყიდა ყველაფერი, ვალში ჩავარდა და თავი დაიხსნა, მესაკუთრე გახდა. მარა რის მესაკუთრე?—სრულიად უვარგისი მიწებისა. ამიტომ მესაკუთრეებს დაუბრუნდეს ჩამოჭრილი მიწები, დროებით ვალდებულნი კი განთავისუფლდნენ მათი მიწებით უსასყიდლოდ.

რამდენი დრო მოდიოდა, იმდენად გლეხების მდგომარეობა აუტანელი ხდებოდა. ბოლო დროს ჩვენი საქმე სულ უკულმა წავიდა. 1901 წელს მემამულეები გაიფიცნენ, შეჰკრეს პირობა, თუ გლეხები ჩვენ პირობებს არ დააკმაყოფილებენ, ჩვენ მიწაზე არ ვამუშაოთო. მათი პირობა იყო: კარგ მიწაზე მოსავლის ნახევარი, უვარგისზე—მესამედი, მოურავს—ქცევაზე ათი შაური. თუ რამეს გააუმჯობესებდა მემამულე, თხრილს გაიყვანდა, მაგ., ისიც ჩვენ ხარჯზე იყო, შელობვა ჩვენი, თესლიც. სასიმინდე, ნალიაც ჩვენ უნდა გაგვეკეთებია, შეგვეკეთებია. გაყოფაზე უნდა გაგვემართა კარგი სადილი, თუ იმ დღეს ვერ მოვიდოდა, მაშინ მეორე დღესაც ვამზადებდით, სადაც გაყოფის შემდეგ მემამულის ნაწილი ერთი გზით უნდა წაგველო. ჩამოგვიდგებოდა უკან მოურავი. ბოლო დროს სიმინდს პეპელა გაუჩნდა, მოწეულიც წაგვიხდა, დადგა შიმშილობა. მემამულეებმა პირი შეჰკრეს. ჩვენც გავიფიცენით, არ ჩავსულიყავით მათ მამულში, თუ ჩვენ პირობას არ დათანხმდებოდნენ. მაშინ მემამულეებმა სხვა ხერხს მიმართეს. საქონლის ჭერა დაიწყეს. ჩვენში არავის გაუგონია, არავის ახსოვს, რომ საბალახოზე რაიმე გადასახადი ყოფილიყოს. ჩვენ წავედით და მემამულეებს საქონლის გაშვება მოვთხოვეთ. საქონელი გაუშვეს, მარა იმავე დროს დაგვაბეხლეს—გლეხებს სურთ მიწები ჩამოგვართვანო. მასთან წარადგინეს სია იმ პირებისა, რომელნიც, მათის აზრით, მათ საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ. ბოქაულმა დაიჭირა დასახელებული პირები, ხუთი კაცი, და ლანჩხუთის სატუსაღოში ჩაჰყარა. ეს ჩვენ ძალიან გვეტკინა. ჯერ მიწის ღალა მოგვიმატეს, მერე ბალახის, რომელზედაც არავითარი შრომა არ დახარჯულა, გადასახადი დაადვეს. ჩვენ ვფიქრობდით, ასეთ გარემოებაში პოლიცია დაგვეხმარებოდა. პირიქით, ამხანაგები დაგვიტუსაღა. მაშინ მთელი სოფელი ავდექით და ლანჩხუთს წავედით. ბოქაულს კაცი გავუგზავნეთ, თუ მემამულეს ზარალი მოუვიდა, ჩვენ ვზღავთ, არც მამულს ვართმევთ, არც მათ ღირსებას ვედავებით, გთხოვთ, ჩვენი ამხანაგები გაანთავისუფლოთო. ბოქაულმა გვიპასუხა: წადით და დაჭერილებს გამოვუშვებო. მარა ვერ წავედით, გადავწყვიტეთ სასჯელი ამხანაგებთან გაგვეზიარებინა, საღამომდინ იქ ვიყავით, საღამოს ამხანაგები გაანთავისუფლეს ისინი ციხეში ორ დღე-ღამეს ისხდნენ.

როგორც ვთქვი, დიდი შიმშილობა იყო, ფუთი სიმინდი მანათ-ნახევრამდე ფასობდა. მივმართეთ მღვდლებს—გვაპატიეთ დრამა-ფულიო. რამდენიმე მღვდელი დაგვეთანხმა, სხვები კი უარზე იყვნენ. აცნობეს მთავრობას, დრამა-ფულის მოსპობას თხოულობენო. მოვიდა მაზრის უფროსის მოადგილე წერეთელი, შეყარა საზოგადოება, და მოგვმართა: გავიგე ნიგოითი, ჭკუაზე შეცდაო, მე არ მჯერაო. ჩვენ ვუთხარით, მოგვეცით ნება, მოვილაპარაკოთ და ჩვენი გაჭირვება მოგახსენოთო. წარსდგნენ წინ ხნიერი კაცები და სოფლის გაჭირვება და შევიწროვება აუხსნეს. ჩვენ გადაჭრით ვუთხარით: არ შეგვიძლია წელს დრამის ფული გადავიხადოთ—შიმშილობაა, ვერც მემამულის მიწაზე ვიმუშავებთო. ამაზე წერეთელი გაჯავრდა... შეუძლებელია იმ მუქარის და ლანძღვის გადმოცემა, რაც იმ დღეს მან შეგვახვედრა. რა არ დაგვარქვა?—მხეცები, ვირები, ტყის ნადირები. თუ არ გიმუშავიათ და დრამა არ გადაგიხდიათ, [illegible] მხალსავით დაგწურავთო. ბოლოს გვითხრა: ეს ქვეყანა თბილია, თავში „პაგარი“ გაგჩენიათ და ცივ ქვეყნებში დაგკარგავთო. ჩაიწერა ყველა ისინი, ვინც კი ელაპარაკა, და წავიდა.

არ გასულა 15 დღე, ჩამოვიდა გუბერნატორი თავისი თანაშემწეებით, სალდათებით და კაზაკებით. მოიწვია ყრილობა: რასაც მაზრის უფროსი მეუბნება, მინდა აგიხსნათ, ამოირჩიეთ დეპუტატებიო. ავირჩიეთ 5 კაცი, რომელთაც დაწვრილებით უამბეს გუბერნატორს ჩვენი შევიწროება და აუტანელი მდგომარეობა. დეპუტატებმა, პასუხად მიიღეს, თქვენ ყოფილხართ ამჯანყებლები და თქვენვე დაამშვიდეთ საზოგადოებაო, თორემ ცივ ქვეყნებში გაგისტუმრებენო, და მეორე საზოგადოებაში წავიდა. გავიდა ერთი კვირა, დაბრუნდა გუბერნატორი ჯარით და 22 კაცი დაიჭირა. ამ რიცხვში ხუთი გუბერნატორის წინაშე წამდგარი დეპუტატი იყო, ხუთი დაჭერილ საქონლის განსათავისუფლებლად წასული, დანარჩენი, ვინც წერეთელმა ჩასწერა, გაგზავნეს დაჭერილები ქუთაისის ციხეში.—ერთი დაჭერილთაგანი მე ვიყავიო,—სთქვა მეორე დეპუტატთაგანმა. სახლში ვიყავი, მამასახლისმა დამიბარა. მოვედი კანცელარიაზე, ვხედავ, გუბერნატორს, ჯარს. დამიჭირეს სხვებთან ერთად, შეგვყარეს ერთ ოთახში. აქედან გაგვისტუმრეს სადგურზე, ჩაგვსეს სატუსაღო ვაგონში და ქუთაისისკენ გაგვგზავნეს. თან გაგვყვა ბოქაული ქელბაქიანი. ქუთაისში გადაგვცა პოლიცმეისტერს. ჩამოგვიყენეს ჯარი,—ერთ წყებად სალდათები, მეორე წყებად—კაზაკები. გზაში შეგვხვდა წუმპე. რომ ჩავსულიყავით, ჩავიფლებოდით, გავცივდებოდით და მოვითითხნებოდით. მოვინდომეთ შემოვლა, თავგასულმა კაზაკმა მიცხუნა მათრახი მეც და ზოგ ჩემ ამხანაგსაც. ჩაგვაგდეს ციხეში. ოთხი თვე იქ ვიყავით, არავინ გვკითხავდა, რისთვის ან რაზე. საცვალიც არ გვაღირსეს. [illegible] საცვლებს არ გვაძლევდნენ, თქვენ ტანისამოსის ღირსი არა ხართო, სახლიდან გამოგზავნილიც არ შეგვატანიეს. არავინ ყურადღებას არ გვაქცევდა. ვიყავით ისე დამწყვდეული, სანამ გული არ მოიჯერეს. 22 კაცში, ერთი გადაასახლეს, დღესაც ციმბირშია, ერთი ისე დასნეულდა, რომ სახლში დაბრუნების შემდეგ ერთი კვირაც არ უცოცხლია. დღეს ნიგოითის საზოგადოებიდან ადმინისტრაციული წესით ოთხი კაცია გადასახლებული.

დაჭერის შემდეგ გავიდა ერთი კვირა და ჯარები ჩამოგვიყენეს. გამოგვყარეს სახლებიდან და ჩვენ ბინაზე სალდათები მოათავსეს. გარდა ამისა დაგვავალეს ჯარისთვის მიგვეცა ნავთი, შეშა, თივა და ფურნე. ყველაფერი ეს გადაგვახდევნეს ფულით—275 მ. ეგზეკუცია იდგა სოფელში ოთხ თვემდე. აი, როგორი შველა მივიღეთ შიმშილობის დროს.

ორი დღის შემდეგ კიდევ მოვიდა გუბერნატორი, შეჰყარა ყრილობა და შეგვეკითხა: მიეცით მღვდელს ფული და თანახმა ხართ მემამულეების პირობებზეო? ვთხოვეთ მღვდლებს, ეთხოვა გუბერნატორისათვის, ნუ გადაახდევინებთ დრამ-ფულსო. მივიდნენ მღვდლები. რა უთხრეს, არ ვიცით, ხოლო გუბერნატორთან მისვლამდე გვეთანხმებოდნენ, დაბრუნდნენ უარი გვითხრეს, არ შეგვიძლია, ვერ დაგითმობთო. ერთმა მემამულემ იტყვა მოგვცა, უწინდელ პირობებით იმუშავეთო. მაგრამ გუბერნატორმა არ დაანება, ჩვენთან გამოუცხადა, თუ მემამულეს არ სურს შესაფერი ღალის აღება, ჩვენ ავიღებთო. თუ მღვდელს არ უნდა დრამა, მაინც ძალით გადაგახდევინებთო. ამავე დროს მოგვთხოვა, თქვენში მავნე პირები ტრიალებენ, რომელნიც გაქეზებენ. მოგვეცით ისინი, თორემ შავ დღეს დაგაყენებთო. დღეს თქვენ სალდათები გიდგათ ოჯახში, მაგრამ ეს რა? ეს არაფერია, გამოვგზავნი ჯარს, დავანგრევინებ თქვენ სახლ-კარს, სოფელს ავაოხრებინებო. არჩევანი თქვენ წინაა: გინდათ აოხრების ეგზეკუცია, გინდათ, გაეცით თქვენი წამქეზებელი პირებიო. ამოირჩიეთ ხუთი კაცი და იმათ დაასახლონ ისინიო. არ გასულა ხუთი წუთიც, შეგვეკითხა, ამოირჩიეთ თუ არაო. ჩვენ ვუპასუხეთ, არ გვყავს მავნე პირი და არც ამოვარჩევთო. თუ თქვენ არ გინდათ, ჩვენ ვიპოვითო. დაიჭირეს ხუთი კაცი. ერთს წამოსცდა—უდანაშაულოდ იჭერთო, ისიც ზედ მიაყოლეს. გაგზავნეს ექვსი კაცი ოზურგეთის ციხეში, იქ იყვნენ ოთხ-ოთხი თვე, ერთი გადაასახლეს, დანარჩენი გამოუშვეს.

დრამის ასაკრეფად სოფელს ჯარი მიუსიეს. ბოქაული ჯარით დადიოდა სოფელ-სოფელ და გაჰქონდა სახლიდან ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. **ერთ ქალს თითებიდან ბეჭედი წამოაძრეს**, ამავე დროს საზოგადოებას ჩამოართვეს მამასახლისის ამორჩევის ნება, დანიშნეს მთავრობის მამასახლისი, დაგვაჯერეს—სინდისიერი იქნებაო. სოფლიდან 400 მანათი ჯამაგირი დაუნიშნეს, სულ ჩვენში სამი მთავრობის მამასახლისი გამოიცვალა. არც ერთი მათგანი ისე არ წასულა, რომ ჯამაგირს გარდა სოფლის ფულიც არ შეეჭამა. პირველი ლოთი იყო, დათვრებოდა და ხალხში რევოლვერს ისროდა. მესამე ერთი დღის მეტი არ დარჩენილა, სოფელს არც უნახავს. იმანაც კი მოასწრო სოფლის ფულიდან სამი მანათის შეჭმა. ამ უკანასკნელს ვიღაცამ სცემა. მოვიდა ბოქაული ქავთარაძე და ასე მი-

რუსეთს. ამ ფულით რუსეთმა ციმბირის რკინის გზა ააშენა, დალნი და პორტ-არტური გაამაგრა და ახალი ფლოტი გაიჩინა. საფრანგეთს რუსეთისთვის ფული რომ არ ესესხებინა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ არც ეხლანდელი ომი იქნებოდა (ნ.).

გენ. დრაგომიროვის რჩევა. „ნ. ფრ. პრ.“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: უკანასკნელ სამხედრო კრებაზე გენ. დრაგომიროვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, ეხლანდელ ომის მოთავეებმა ბრძოლის ველზე უვარგისი ჯარი გაგზავნეს და საქმეც მაშინ გაფუჭდაო. იმ თავითვე საჭირო იყო მთელი გვარდიის გაგზავნა ბრძოლის ველზე.

მინისტრებმა ჰკითხეს, გვარდია რომ ბრძოლის ველზე გაგვეგზავნა, ვიღა დაიცავდა სატახტო ქალაქსაო. დრაგომიროვმა უპასუხა: მცარცველთა და ავაზაკთა დაშოშმინება გვარდიის საქმე არ არის. გვარდია მეფის ყველა ჯარებს წინ უნდა მიუძღოდეს და სიმამაცის მაგალითს უჩვენებდეს. ცხენოსან გვარდიასაც შეეძლო ბრძოლის ველზე დიდი სარგებლობის მოტანა. მე მშვენივრად ვიცი—ამბობდა „განთქმული“ გენერალი—რომ რუსეთს ცუდი დღე დაუდგა, მაგრამ საქმე იმაშია, შევძლებთ თუ არა რუსეთის სახელისა და პრესტიჟის დაცვას, თუ შევარცხვენთ და დავამცირებთ. მუშები აჯანყებაზე ხელს არ იღებენ, მაგრამ ხელმწიფესაც ბევრი ერთგული ჰყავს. რუსეთის ხალხის დასამშვიდებლად ზარბაზნები კი არა, თოფები და მათრახებია საჭირო. ამას ყაზახებიც მოახერხებენ, გრენადერები, გვარდიაკი და კავკასიის კორპუსები ბრძოლის ველზე უეჭველად უნდა გაიგზავნოს.

ბოლოს გენ. დრაგომიროვმა სთქვა, აუცილებლად საჭიროა მანჯურიის ჯარებს მთავარსარდლად რომელიმე დიდი მთავარი დავუნიშნოთო (რ. ვ.).

ჯარების მობილიზაცია. მე-6 და მე-7 კერძო მობილიზაციის დროს ევროპის რუსეთში შეკრიბეს 100 ბატალიონი ქვეითი ჯარი (რ.).

„ბერლ. ტაგებლატ“-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან იუწყება: გადაწყვეტილია ახალი მობილიზაცია მოახდინონ და 6 კორპუსი ჯარი შეადგინონ. გარდა ამისა მანჯურიაში დონის ყაზახთა რამდენიმე დივიზიაც გაიგზავნება. ჯარებს მოაგროვებენ პოლონეთში, მალოროსიაში, ბალტიის მხარეში, შუაგულ რუსეთში და სხ.

საგულისხმოა, რომ ჯერ-ჯერობით კავკასიიდან ჯარის წაყვანას არ აპირობენ (რ. ს.)

სახალინის ბედი. იაპონიის სამხედრო მინისტრმა, გენერალმა ტერაუჩიმ ფურნიეს სააგენტოს კორესპონდენტს გამოუცხადა.—მარშალ ოიამას ნაბრძანები აქვს ხარბინი აიღოს. შემდეგ რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს. უცხოელები გვისაყვედურებენ, რატომ სახალინს არ ვიღებთო, მაგრამ როგორ არ ესმით, რომ სახალინი მწიფე მსხალივით თვითონვე ჩაგვივარდება კალთაში.

იაპონია და ამერიკა. ომს ფული უნდა და ორივე მხარე,—რუსეთიც და იაპონიაც,—ფულს ეძებს. თავდაპირველად რუსეთი ადვილად სესხულობდა ფულს, იაპონიას კი, ცოტა არ იყოს, უჭირდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის იმედი ჰქონდათ, პაწაწინა იაპონიის გამბედაობას კი იჭვით უყურებდნენ, მაგრამ ეხლა ჩარხი უკუღმა დატრიალდა: რუსეთს აღარ ენდობიან, ყელამდის ვალებში ჩაიფალი, დღეს თუ ხვალ გაკოტრდები და ვერ გენდობითო. იაპონიას კი ყველა ენდობა, ფულსაც აძლევენ და დარწმუნებულნი არიან, რომ არ დაეკარგებათ. ამერიკელებმა პირდაპირ გამოუცხადეს იაპონელებს, ფულს, რამდენიც გინდა, იმდენს გასესხებთ, მხოლოდ პირობა უნდა მოგვცეთ, რომ ომის გათავების შემდეგ კამჩატკის ნაპირებსა, ბერინგის სრუტესა და პრიამურის წყლებს იჯარით მოგვცემთო. იჯარის ფასს წელიწადში 100 მილიონ მანათს მოგცემთო. იაპონელებიც დასთანხმდნენ და პირობა მისცეს, ზავის ჩამოგდების დროს უეჭველად მოვითხოვთ, რომ ზემოხსენებული ადგილები ჩვენ დაგვრჩესო. ამერიკელებსა და იაპონელებს გამარჯვების მტკიცე იმედი რომ არა ჰქონდეთ, ამაზე ხმასაც კი არ ამოიღებდნენ.

ვის უფრო ენდობიან, რუსეთსა თუ იაპონიას. ნდობის საუკეთესო საზომი ბირჟაა. ომის დასაწყისს რუსეთის სახელმწიფო 4% რენტა საზღვარ გარედ ღირდა 105 მანათი; იაპონიისა კი—84 მანათი. ეხლა რუსეთისა ღირს 85 მანათი, იაპონიისა კი—100 მან. (ო.).

იაპონელების მუქარა. რომიდან „ბერლ. ტაგებ.“-ს ატყობინებენ: იპონიის ელჩმა განაცხადა, თუ რუსეთი გაჯიუტდა და გაკერპდა, იაპონიის ფლოტი ბალტიის ზღვისკენ გამოსწევს და კრონშტადსა და ლიბავას დაეცემაო. იაპონიას მრავლად აქვს ტრანსპორტები და სანახშირო გემები და ამ საქმეს ადვილად შეასრულებსო (რ.).

საერო კრება და ომი. „პეტ. ვედ.“-ი სწერს: მომავალი საერო კრება პირველ სხდომაზევე მოითხოვს, რომ მთავრობამ ეხლანდელ ომის საიდუმლოებანი თავით-ბოლომდე შეატყობინოს მთელ რუსეთს. საერო კრება ჯერ ამ ომის ისტორიას დახედავს და მერე იტყვის თავის აზრს, გაგრძელდეს ომი თუ არა. ცხადია, რომ საერო კრება ომის მოსპობას მოითხოვს, მაგრამ ისიც ცხადია, ხმა მისი დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა (ნ. დ.).

ტყვე რუსებს იაპონიაში წერა-კითხვას ასწავლიან. ერთი ტყვე აფიცერი იაპონიიდან იუწყება: ისე გვინახავენ, რომ ჩვენს სალდათებს სიზმარშიაც არ უნახავთ ასეთი მოვლა. მაგრამ მოვლას ვინ აქცევს ყურადღებას: ჩვენ, აფიცრებს, გვრცხვენია, ვწითლდებით. წარმოიდგინეთ, ტყვე სალდათებში ასში ორმა-სამმა იცის წერა-კითხვა. იაპონელებს ეს ამბავი ძალიან გაუკვირდათ, სალდათები შეიბრალეს, რუსულ ენის მცოდნენი მიუჩინეს და სალდათებიც რუსულ წერა-კითხვას სწავლობენ. სირცხვილი, სირცხვილი იმათ, ვინც ჩვენი ერი, მთელი რუსეთი გაუნათლებლობაში ჩააგდო და წერა-კითხვაც კი არ ასწავლა სალდათებს! იაპონელებმა გაუნათლებლები დაგვატყვევეს, ხვალ-ზეგ კი განათლებულებს გამოგვიშვებენ. ღმერთმანი, იაპონიამ მთელი რუსეთი რომ დაატყვევოს, ძალიან კარგი იქნება, რადგან ომის შემდეგ რუსეთი განათლდება და ახალ ძალას შეიძენს (რ. ვ).

სხვადასხვა ამბები. „დეილ ნიუს“-ი იუწყება, მუკდენთან იაპონელებმა მე-16—კორპუსი მთლად დაატყვევესო (ჩ. ვ.).

„დეილ ტელეგრაფ-“ს ატყობინებენ, მესამე არმიის უფროსი, გენერალი ბილდერლინგი სადღაც დაიკარგაო (რ.)

„ბერ. ლოკ. ანც.“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: რუსეთის ხაზინას ისე უჭირს ფული, რომ დღეს თუ ხვალ მონასტრებს ეწვევა და ოქრო-ვერცხლს მოსთხოვსო. რუსეთის მონასტრების სარდაფებში აუარებელი ოქრო ინახება (რ. ს.).

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 15 მარტი. გენერალ-გუბერნატორმა თ-დ ჯამბაკურ-ორბელიანმა გააუქმა, ახალ განკარგულებამდე, აქაურ სასწავლებლებში სწავლის დასაწყებად დადებული ვადა. საზოგადოება და მოსწავლე ახალგაზრდობა დაამშვიდა ამ განკარგულებამ. გუშინ ჭიათურელთა დეპუტაციამ სთხოვა გენერალ-გუბერნატორს,—ჭიათურიდან ჯარები უკან დაბრუნეთ, თორემ მცხოვრებნი ღელდებიანო. გენ.-გუბერნატორმა აღუთქვა, მე თვითონ მოვალ ჭიათურაშიო. დღეს, 16 მარტს, დაიწყება იმერეთის სამღვდელოების კრება.

ახალი ამბავი

როგორც პოლიციის ოქმიდან სჩანს, კვირას, 13 მარტს, **რკინის გზის მუშებს კრება ჰქონიათ** ქალაქ გარედ მლაშე ტბასთან. კრებაში მონაწილეობას იღებდნენ ნაძალადევის ზოგიერთი მცხოვრებელნი და სხვადასხვა სასწავლებლების მოწაფენი. კრება რომ გათავებულა, ხალხი, რიცხვით 500 კაცამდე, ქალაქისკენ ხმაურობით წამოსულა. ნაძალადევის გორას რომ მოახლოვებულა, წინ შეხვედრია ერთი ცხენოსანი კაცი, გვარად გიორგი ავეტისოვი, და დაუყვირნია: რა გაღრიალებთო. ხალხს შეუხედნია მისთვის და ერთხმად დაუძახნია: ეგ ჯაშუშია, დაჰკარით მაგასო. ავეტისოვს ცხენი გაუქენებია, მაგრამ ხალხს რევოლვერები უსვრია და ცხენი ორ ალაგას დაუჭრია. ცხენე წაბორძიკებულა და მხედარი ძირს გადმოვარდნილა. ხალხი წამოსწევია წაქცეულს ავეტისოვს და იქვე მოუკლავს. ავეტისოვს შუბლსა და სახეზე ხანჯლის ჭრილობები ატყვია. ამას გარდა, ხალხს უკვე მკვდრისთვის დაუშენია ქვა და თავი სულ მთლად გაჭეჭყილი აქვს.

✦ ოფიციალური გაზ. „კავკაზ“-ი სწერს: „როგორც მიღებულ ცნობებიდან სჩანს, შორაპნის მაზრაში **გლეხებს ყოველგვარი დამოკიდებულება შეუწყვეტნიათ** სოფლის მოხელეებთან. თავიანთ საქმეებზე ახლა გლეხები ეტანებიან მათგან საიდუმლო კენჭის ყრით არჩეულს წარმომადგენლებს. უარი უთქვამთ, არც სასოფლო საზოგადოების საჭიროებისათვის გავიღებთ ფულს და არც მემამულეთა მიწებს დავიმუშავებთო. დროებით ვალდებულ გლეხებს, გარდა ყველა ამისა, უარი უთქვამთ, მემამულეებს სანადელო მიწებში მათ კუთვნილ ღალა-კულუხსაც არ მივცემთო, ამასთანავე განუცხადებიათ, ეს მიწები მემამულეებისა კი არა, საცა სამართალია, გლეხთა საკუთრებააო“.

✦ როგორც ქართლიდან გვატყობინებენ, **სოფელ მოხისში** (გორის მაზრა) **გლეხ-კაცობას ერთი-ერთმანეთში დიდი ჩხუბი და დავიდარაბა აქვთ.** მოხისში ბევრი სახაზინო გლეხია, რომელთაც სახაზინო ადგილები ბლომად აქვთ. არის ბევრი იმისთანაც, რომელსაც არც საკუთრება აქვთ და არც სახაზინო მიწები; ესენი თხოულობენ, სახაზინო მიწები თანასწორად დაყოფილ იქმნას მოხისელთა შორისო. სახაზინო გლეხები ამაზე არ დათანხმებულან და ამას წინად დიდი ჩხუბიც მოსვლიათ. სამი კაცი მძიმედ არის დაჭრილი, ბევრიც ნაცემი.

✦ **იქიდანვე გვატყობინებენ**, სოფელ ფლავის მცხოვრებნი შესევიან თ. ი. თარხნიშვილის ტყეს სოფ. კოდაში და ტყის ჩეხვა დაუწყიათ. ეს გაუგიათ სოფ. კოდის მცხოვრებლებს – მისჭრიან ფლაველებს და ჩხუბი აუტეხნიათ, ეს ტყე კოდელებისა არის და, თუ გაჩეხავთ, ჩვენი საჭიროებისთვის გაჩეხავთო.

✦ტფილისის ქალთა პირველ გიმნაზიაში სწავლა არ შეწყვეტილა. **გიმნაზიას პოლიცია სდარაჯობს.**

✦ გუშინწინ, 14 მარტს, ტფილისის ღედათა საეპარქიო სასწავლებლის მოსწავლეებმა **სწავლა ხელ-ახლა შესწყვიტეს.**

✦ 5 მარტს **ალავერდის ქარხნის მუშები გაფიცულან** და შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ: 1) 9 საათის სამუშაო დღე, 2) უფასო სახლი, 3) დღიურ ფასზე 20%-ის მომატება, 4) სანოვაგის გაუმჯობესობა. ქარხნის ინსპექტორს უთხოვნია, მოილაპარაკეთ და დეპუტატები აირჩიეთო. მუშებს უარი უთქვამთ,—ხოლო როცა პოლიცია მისულა, შეშინებიათ და მუშაობა ისევ დაუწყიათ. 8 მუშა დაითხოვეს („მშაკ“).

✦ როგორც გვატყობინებენ, 12 ამ თვეს ქ. **ფოთში ჯანდარმს ოკსიუკევიჩს ქუჩაზე დახვედრია** 6 კაცი და სროლა დაუწყვია. ოკსიუკევიჩი ამ სალამოს სიკვდილს გადარჩენილა. 14 ამ თვეს ამავე ჯანდარმს რიონის ხიდზე დახვედრია 3 კაცი და მოუკლავთ. მკვლელებმა თავს უშველეს. მეეტლე, რომლის ეტლშიაც მსხდარან, დაჰპატიმრეს. ჯანდარმთა უფროსი კავკასიაში **სოლოვიოვი** დღეს ფოთსა და ბათუმში მიდის.

✦ გაზ. „კავ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი: სოფ. ბელაგორში (შორაპნის მაზრა), 5 მარტს, ღამით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა შეიპყრეს ბოროტ-მომქმედი, რომელსაც განზრახული ჰქონდა სოფ. ბელაგორის გადაწვა. შეპყრობილი პოლიციის ბოქაულს გადასცეს. მეორე დღეს, 6 მარტს, დილის 11 საათზე, შეიკრიბა გლეხობა 500-მდე და **ძალით გაანთავისუფლებინა ბოქაულს დაპატიმრებული ბოროტ-მომქმედი.**

✦ **იმ მანდილოსნებმა, რომელთაც სახლები აქვთ ტფილისში** და სხვადასხვა მიზეზისა და კანონების ძალით ნება არ აქვთ მონაწილეობა მიიღონ ხოლმე ხმოსანთა არჩევნებში, გუშინ ქალაქის მოურავსა სთხოვეს —იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ სხვა საქმეებში მონაწილეობის მიღების ნება ქალებსაც მიეცესო.

✦ სადგურ შამხორიდან იუწყებიან: განთიადისას, როდესაც ბარგის მატარებელი მოდიოდა სადგურთან, მემანქანეს შეამჩნია, რომ **რელსებისთვის ლურსმები ვიღაცას დაეძრო** და რელსებიც გაწეული იყო, მატარებელი შეაჩერეს და ლიანდაგი უმალ გაასწორებინეს.

✦ ორშაბათს, 14 მარტს, ტფილისის **ქალაქის ხმოსანთ კერძო თათბირი ჰქონდათ**, გაეგზავნოთ თუ არა ჩვენი დეპუტატები პეტერბუგში იმ შუამდგომლობის აღსაძვრელად, რომ კავკასის მცხოვრებთა წარმომადგენლებს ნება მიეცეთ ბულიგინის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიაში მონაწილეობის მიღებისა. კრებამ გაგზავნა არჩია და ვ. ს. მიქელაძე, ა. მ. ალეთინსკი-დოლგორუკოვი და ნ. ნ. ოსტროგორსკი დღესვე პეტერბურგში გაემგზავრნენ. მუსულმანების წარმომადგენელს ახუნდოვს წასვლაზე უარი განუცხადებია.

✦გუშინწინ, ორშაბათს, **ქალაქის საბჭომ აირჩია კომისია**, რომელმაც პეტებურგში წარსადგენად უნდა შეიმუშაოს მოხსენება ტფილისის თვით-მართველობის მოსაზრებათა და განზრახვათა სახელმწიფოს მდგომარეობის და ხალხის კეთილ-დღეობის გაუმჯობესების შესახებ. კომისიაში არჩეულ იქმნა ხმოსანთა მთელი კრებული.

✦ამავე სხდომაზე საბჭომ, ხმ. ა. ბაბოვის წინადადების თანახმად, პირინციპიალურად საჭიროდ იცნო მთელი **კავკასიის წარმომადგენლების კრება**, რომელმაც საერთოდ კავკასიის საჭიროებაზე უნდა იქონიოს მსჯელობა, მიანდო ზემოდ დასახელებულ კომისიას ამ კრების განხორციელების საქმე და გადაწყვიტა აღძრას შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაში იმის შესახებ, რომ მთელის კავკასიის წარმომადგენლების კრება ნება-დართულ იქმნეს.

✦ ორშაბათს, 14 მარტს, საარტისტო საზოგადოების თეატრში სომხურად **ა. სუმბათაშვილის „ღალატი“** წარმოადგინეს. ეს პიესა მესამედ იქმნა წარმოდგენილი. უკანასკნელად წინანდელზე კარგად ითამაშეს.

✦**ინდოეთის მუსულმანთა** ერთს ჯგუფს ედინბურგიდან ლონდონში, ბ-ნ შირაზისთვინ დეპეშით თავისი მწუხარება გამოუცხადებია ბაქოში მომხდარ უბედურების გამო. დეპეშაზე ცხრა გამოჩენილ კაცს უწერია ხელი. ასეთივე დეპეშა მოსვლია ოქსფორდიდან. დეპეშაზე ათ კაცს უწერია ხელი. („მშაკ“).

✦ **პენზა-ბალაშოვისა და რიგა-ორლოვის რკინის გზაზე შესწყდა** ბარგის გადატან-გადმოტანა; ამის გამო კავკასიის რკინის გზათა მმართველობამ ბრძანება გასცა, აგენტებმა გზაზე გადასატანად საქონელი აღარ მიიღონ, ხოლო რაც მიღებულია, იმაზედაც კავკასიის რკინის გზათა მმართველობა პასუხს არ აგებსო.

✦ ნიკოლოზ მარკოზის ძე ამირაღოვს პოლიციაში განუცხადებია კვირას, 13 მარტს, საყდარში მიცვალებულ ქრისტეფორე მიკაელიანის ანდერძის აგების დროს, ვიღამაც გალსტუკიდან 400 მან. ღირებული ბრილიანტის ქინძისთავი ამაცალაო.

✦ კვირას, 13 მარტს, საღამოზე, დიდუბის ნავით სამი მთვრალი კაცი მეორე ნაპირას გადადიოდა. შუა მტკვარში მთვრალებს ნავზე ცეკვა დაუწყვიათ და სამივე მტკვარში გადავარდნილა. ორი გადაარჩინეს, ერთი კი, ივანე ხოლკოვსკი, მტკვარს წაუღია და დაუხრჩვია.

ოფიციალური ცნობა.

(გაზ. „კავკაზი“ № 70)

ამ ცოტა ხნის წინად გორის მაზრაში დაწყებული გლეხთა მოძრაობა დიდის სისწრაფით ვრცელდება და თანდათან, დღითი-დღე მწვავდება. წარსულ კვირას სოფ. ზემო-გომში გლეხებმა ყრილობა მოახდინეს და დაადგინეს,—დავიწყოთ მემამულეთა ადგილებში მუშაობა სასყიდლის გაუღებლად, ამიერიდან მთავრობის მოხელეებს აღარ მივმართოთ შემწეობისთვის და ჩვენი საქმეები ჩვენგანვე ამორჩეულმა კაცებმა გაარჩიონო. შემდეგ ამნაირივე ყრილობა მოჰხდა სად. ხაშურში (მიხაილოვო) ამ ყრილობაში ადგილობრივ დეპოს მუშებმაც მიიღეს მონაწილეობა და დაადგინეს, იმისთვის რომ მთავრობის მოხელეებმა დაგვითმონ და ხელი აღარ შეგვიშალონ, საჭიროა ძალას მივმართოთ და საჭირო ღონისძიება მივიღოთ ადმინისტრაციის მოხელეთა წინააღმდეგო. ხელი მიჰყვეს აგრედვე სასოფლო სამმართველოს კანცელარიების გადაწვას

7 მარტს სოფ. კარალეთში მახლობელ სოფლებიდან შეგროვდნენ გლეხები, შეჯგუფდნენ ბრბო, ამართეს წითელი დროშა მთავრობის საწინააღმდეგო წარწერით, შეგროვდნენ სოფლის კანცელარიაში და მოახდინეს უწესოება, რომლის დროსაც მილეწ-მოლეწეს ყველაფერი, რაც კი იყო კანცელარიაში. რადგანაც კარალეთის საზოგადოებამ უარი განაცხადა სასოფლო კანცელარიის დაცვაზე, საჭირო შეიქმნა კანცელარიის ყველა საქმეთა გადატანა და შენახვა მემამულის თავ. ერისთავის სახლში. ცხინვალში ხალხი დადიოდა სოფელ-სოფელ და ჰყვიროდა: „ურა, გაუმარჯოს ერთობას“., და თან რევოლვერებს ისროდა.

11 მარტს სოფ. ქარელში დაიწყეს თავ. ციციშვილთა ტყეებსა და სამოსახლო ადგილებში შესევა. გლეხები წინააღმდეგობას უწევდნენ სოფლის მოხელეებს და მემამულეთა მოჯამაგირეებიც გარეკეს.

10 მარტს სოფ. რუისში გლეხობა შეესია სკოლისა და სასოფლო კანცელარიის შენობებში, კარი ჩაამტვრია, ფანჯრები და ავეჯეულობა დაამსხვრია, ხოლო ამის შემდეგ გემართა წისქვილებისაკენ და გააფუჭა ოთხი წისქვილი, რომლის თაობაზედაც გლეხთა და მემამულეთა შორის დავა იყო ატეხილი.

გარდა აქ ჩამოთვლილ ადგილებისა, გლეხთა მოძრაობამ თავი იჩინა აგრედვე ბაკურიანშიაც; თითქმის ყველა სასოფლო სამმართველოებში საქმის წარმოება შეჩერებულია.

გორის მაზრის გლეხთა უკმაყოფილებისა და საჭიროების გამოსარკვევად, კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, ადგილობრივ გაიგზავნა გლეხთა ადგილობრივ მდგომარეობის საქმის კარგად მცოდნე დეისტვ. სტატ. სოვეტნიკი ე. გ. ვეიდენბაუმი. ამას გარდა, რადგანაც გლეხთა მოძრაობამა და მრავალნაირმა უწესოებამ საშიში ხასიათი მიიღო, სამოქალაქო ადმინისტრაციის დასახმარებლად, მცხოვრებთა გასაფრთხილებლად და უწესოებათა მოსასპობად, ქართლის სხვადასხვა ადგილებში ჯარები გაიგზავნა.

სადღეისო

ვაი, ვაი!

ამ ბოლო დროს მშვენივრად მოვაწყე ჩემი საქმე... ჩემი ერთგული ალფესას და ახალი აგრონომის მეცადინეობით მამული უფრო მეტ შემოსავალს მომცემს... ზამთრობით ქალაქში ვიცხოვრებ, ზაფხულობით სოფელში-მეთქი!..

ასე ვოცნებობდი ერთ მშვენიერ დღეს, ტფილისის ერთ-ერთ სასტუმროს რბილ ლოგინზე წამოწოლილი.

გაიღო კარები და ბიჭმა დეპეშა გადმომცა. „ბატონო, იდგე—არ დაჯდე, იჯდე—ადექი და ახლავე აქ ჩამობრძანდი.. თქვენმა გამოგზავნილმა მებაღემ ყველაფერი გაანადგურა. ახლა სახლს ანგრევს. ალფესა“.

ჩავჯექ მატარებელში და სოფლისაკენ გავქანდი.

ჩაველი ეზოში და რა ვნახე?!. ჩემი დიდი მუხა, მამა-ჩემის საყვარელი მუხა, რომელიც მთელ ეზოს ჩრდილავდა, ძირში მოუთხრია... რამდენჯერ სიცხე-პაპანაქებაში მის ჩრდილ-ქვეშ მოსვენებით მძინებია!.. დიდი კაკლის ხე მოუჭრია, მოჭრის დროს ის ხე დასცხებია იქვე მდგომ მშვენიერ ჭანდრის ხეს და შუაში გადუმტვრევია...

გული ბოღმით ამევსო... შეველი სახლში.., ნახევარი სახურავი აუღია... კარები და ფანჯრები ჩამოუგლეჯია და ოთახებში ქარი დანავარდობდა...

გიჟივით დავიყვირე: „სად არის ჩემი ოჯახის დამქცევი“?..

— „აქ გახლავარ“!..

...და კმაყოფილისა და მხიარულის სახით ჩემი აგრონომი მებაღე წინ დამიდგა.

— თქვენგან არ მიკვირს, ბ-ნო! რას ჯავრობთ? ხეების მოჭრა თუ გაწუხებთ—მეტად ძველი და უსარგებლო იყო... კაკალი არ ისხამდა, მუხაც მავნებელი იყო— ეზოს ჩრდილავდა და ბალახს ზრდას უშლიდა... მართალია, ჭანდარი კარგი რამ იყო, მაგრამ ეს მუდამ ასეა—ყოველსავე განახლებას მსხვერპლი თანა სდევს...

დანარჩენს თქვენ თითონ ხედავთ,—უსარგებლოდ და უმნიშვნელოდ არა გამიკეთებია-რა:

სახლს სახურავი ავაგლიჯე—ოთახები ცუდისა და დახშული ჰაერისაგან გაიწმინდება... ოთახებში სინესტეა... საჭიროა და აუცილებელი საჭიროც, ბანი მაღლა აიწიოს, ფანჯრების და კარების ჩარჩოები გავაგანიეროთ, რომ ოთახებში მეტი სინათლე და ჰაერი შემოვიდეს. ეს კედლებიც უნდა გამოინგრეს—იქითა ოთახებში მეტი სინათლე შევუშვათ... ეს აუცილებლად საჭიროა... აი, ეს ბოძებიც უნდა გამოიცვალოს, თორემ, საცაა, მთელი სახლი თავზე ჩამოგვენგრევათ-ო, სთქვა და მოქნეული ცული ერთ ბოძს შემოჰკრა... მართლაც, ბოძიდან ფუტუროს მტვერი გამოცვივდა...

— ჩემი მამა-პაპა თუ ცხოვრობდა ამ სახლში, მე რაღა ვარ?..

იმათი დრო სხვა იყო, ეხლა სულ სხვაა... თქვენ რომ კმაყოფილი იყოთ, ეს ცოტაა... თქვენი შვილები?.. იმათზედაც უნდა იფიქროთ თუ არა?..

— იმ ორი კედლის გამონგრევა მაინც ყოვლად შეუძლებელია... თითო პატარა ფანჯარა გამოსჭერით—საკმარისია... სხვა ყველაფერი ძველებურად დარჩეს... მე მიყვარს ეს სიძველე...

— სიძველე თუ გიყვართ—არხივში მიბრძანდით... ჩვენ კი გზა დაგვიცალეთ... აბა, ჰკითხეთ თქვენს შვილებს, რა უყვართ?..

— ჰო... უნებურად დავეთანხმე მე, ცოტათი განაახლეთ, მაგრამ, გთხოვთ, ოთახებში მეტ სინათლეს ნუ შემოუშვებთ... თვალებში მწყენს.

— თქვენი კარ-მიდამო ჩემს გემოვნებაზე გადმამიკეთებინეთ და ბოლოს ნახავთ, რა კარგად მოეწყოს ყველაფერი... თქვენც მადლიერი დამრჩებით... თქვენი ასე უეცარი ჩამოსვლა ალფესას წყალობით იქმნება... გთხოვთ, უბრძანოთ ჩემ საქმეში არ გაერიოს...

ვითომ დავეთანხმე, მაგრამ ყოველ შემთხვევისათვის ალფესი გავაფრთხილე:

— ალფეს, ეს ვიღაც გიჟი უნდა იყოს, ილოდე თვალ-ყური მარჯვედ გეჭიროს!.. თუ რამე შეამჩნიო... ხომ იცი?!.

— ფიქრი ნუ გაქვთ, ბატონო,—დამაიმედა ალფესამ.

—

კაბინეტში მოსვენებით ვიწექ და ყარამანიანს ვკითხულობდი.

...ალფესა შემოიჭრა.

— რა ამბავი, ალფეს?

— რაღა რა ამბავი, შენი ჭირიმე!.. წამობრძანდი თუ არა, მიჰყო ხელი და რაც რამ ძველი დაინახა, ყველაფერი დაამტვრია, დასწვა, გაანადგურა... რომ დავუშალე—სხვებიც მიემხრნენ და ერთად იგრიალეს თქვენი სასახლისაკენ... მე შევშინდი და თქვენსკენ გამოვიქეცი... ახლა როგორც ინებებთ?

ელდა მეცა...

მივარდი ალფესას, უნდა გამემათრახებინა, მაგრამ თავი შევიკავე...

— **იმას გავამათრახებ, იმას!** რად ვენდობოდი ახალგაზრდებს! სად არის ჩემი ქუდი... ქულაჯა... წაღები... ჩიბუხი... მიშველეთ, გული მიმდის... ბოქაული მომგვარეთ, ბოქაული! დავაბეზღებ, ციხეში ჩავსვამ, გადავასახლებინებ. ვაი, დალუპული ოჯახო, აკი **ჩემი** გლეხების დასაცინი არ გავხდი! ვაი, ვაი!!...

ვალიკო გურული.

სალმა ყრილობას: მსურს თქვენი არ გამარჯვებაო. ასე სამჯერ შემოგვძახა, მერე დასძინა: მოხარული ვიქნები, თქვენის სისხლის დანთხევა რომ მიბრძანონო. თქვენ ხართ ძროხები, ვირები, გაბრუნდით, დამეკარგეთო.

1903 წელს საზოგადოებას მემამულეების მიწა არ აუღია. ივნისის ბოლოს მოვიდა მაზრის უფროსი ჯაფარიძე, შეგვკრიბა და გვითხრა: რად არ ჩასულხართ მაჭუტაძის მამულშიო. ვუპასუხეთ, იმ პირობებში მუშაობა, რომელიც მემამულეებმა წარმოადგინეს, არ შეგვიძლია. ჩვენს მიწაზე ვმუშაობთ, რაც გვაქვს, ამით ვცდებით თავი გავიტანოთო. ამ დროს ერთი ვაჭარი კაცი იყო შორიახლო ვაჩერებული და ყრილობას უყურებდა. ჯაფარიძემ დაიძახა—დაჰკარით მათრახიო. მივარდა ჩაფარი, ჯერ მათრახით სცემა და მერე თოფის კონდახით. ამნაირადვე სცემეს კიდევ ორ ჩვენ ამხანაგს. მერე გამოგვიცხადა: თუ არ ჩასულხართ მემამულეს ყანებში და არ დაგითესიათ, მთელ საზოგადოებას გადაგასახლებთ და აქ მარტო მტვერს დავტოვებო. ჩვენ იძულებული შევიქენით მოგვეხნა მემამულის რამოდენიმე ნაწილი მიწა. ამასობაში ჩვენ ყანებსაც ვერ მოვუარეთ და მემამულის მიწაც არ გამოგვადგა. ასე დასრულდა 1903 წელი.

1904 წელს მემამულეები ჩვენ პირობაზე დაგვეთანხმნენ, ამ პირობებში ვიმუშავეთ და დღესაც ვმუშაობთ*). ასეთი იყო ჩვენი გაჭირვება, დაწიოკება, შეწუხება. ვგონებთ, საკმარისია ამდენი ცდა, ამდენი ბრძოლის გამოვლა, რომ ჩვენ მოვითხოვოთ გაფიცვის თავისუფლებააო,—დასძახა ყრილობამ. ამას ზედ მოყვა სხვა მოთხოვნილებათა დასაბუთებით გადმოცემა. სხვა მოთხოვნილებათა შორის ყრილობამ მოითხოვა სწავლის სისტემის ძირიანად შეცვლა. ყოველ ხალხს თავისი ენა აქვს, ჩვენც სამშობლო ენა გვაქვს. დღეს ვხედავთ, სხვა ენას გვაძლევენ და ჩვენსას სდევნიან. შემოიღეს მუნჯური მეთოდი, რომელიც მხოლოდ ერთი წვალებაა. ჩვენ მოვითხოვთ ენების თანასწორობას. სწავლა ქართულ ენაზე იყოს, რუსული კი ისწავლებოდეს, როგორც საგანი.

დასასრულ, ყრილობამ განაცხადა, ჩვენ გვსურს ჩვენი მოთხოვნანი განვახორციელოთ რუსეთის ხალხთან ერთად. ამავე დროს მოვითხოვთ კავკასიის ფართო ადგილობრივ თვითმმართველობას. ცხადია, ჩვენ მოთხოვნათ არ გაახორციელებს დღევანდელი ბიუროკრატიული მთავრობა, მათრახების და საპყრობილეების მთავრობა. მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება, არჩეული თანასწორი, პირდაპირი, დახურული კენჭის ყრით.

—

ვსარგებლობ შემთხვევით და მომყავს ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, რომ ხალხის ჯანმრთელობაზე, მის მომავალზე დღეს არავინ ზრუნავს. ოცდა ხუთი წლის წინად ერთ ადგილს რიონმა დატოვა ძველი კალაპოტი და ახალი გზა აიჩინა. ამ ძველ კალაპოტში დაგუბდა წყალი, წოდებული, „ნარიონალად“, სიგრძით 3 ვერსტი, განით 250 საჟენი. დაგუბებულმა წყალმა ირგვლივ გააჩინა საშინელი ციებ-ცხელება, მალარია. ამ სენის გამო იქ მდებარე სოფელ ჯაპანაში მცხოვრებთა რიცხვი გამრავლების მაგიერ კლებულობს. აი, ნამდვილი ციფრები, რომელიც ამოღებულია სოფელ ჯაპანის ეკკლესიის წიგნებიდან:

1879	წ.	დაიბადა	4	გარდაიცვალა	25.
1880	„	„	17	„	5.
1881	„	„	7	„	12.
1882	„	„	7	„	14.
1883	„	„	9	„	13.
1884	„	„	12	„	9.
1885	„	„	9	„	9.
1886	„	„	15	„	11.
1887	„	„	24	„	11.
1888	„	„	14	„	15.
1889	„	„	22	„	18.
1890	„	„	6	„	19.
1891	„	„	15	„	9.
1892	„	„	11	„	31.
1893	„	„	13	„	14.
1894	„	„	19	„	22.
1905	„	„	15	„	10.
1896	„	„	10	„	21.
1897	„	„	14	„	17.
1898	„	„	15	„	20.
1899	„	„	17	„	23.
1900	„	„	13	„	27.
1901	„	„	9	„	15.
1902	„	„	10	„	9.
1903	„	„	13	„	13.
სულ . . .			320	„	392.

ამნაირად, ოცდახუთი წლის განმავლობაში მცხოვრებთა რიცხვი შემცირებულა 72. ცხადია, ამ სოფელს შველა უნდა, თორემ ისე მისი არსებობა შეუძლებელია.

პეტრე სურგულაძე.

---

*) გლეხების ახალი პირობები: საბალახო უფასოდ, საყანული—პირველი ხარისხის მიწაში—ქცევაზე 3 მანეთი, მეორეში—2 მან., მესამეში—1 მ. პირველი ხარისხის მიწაზე უნდა მოვიდეს 40 ფუთზე მეტი, მეორეზე 30—40 ფუთამდე, მესამეზე 30 ფუთზე ნაკლები.

პრესსა

გაზ. „რუსში“ ვიღაც „კავკასიელმა რუსმა“ გამოილაშქრა ქართველების საწინააღმდეგოდ.

„ყველაფერს შეიძლება დაეთანხმოს ადამიანი, მაგრამ ის კი არ შეიძლება ასრულდეს, რომ კავკასიის მკვიდრთაგან შესდგეს ხოლმე ცალკე რაზმები და რომ ეს რაზმები თვით კავკასიის საზღვრებში რჩებოდეს. ამბობენ, ვითომც შიდა-გუბერნიებში გაგზავნით იხოცებიანო ქართველი ჯარის-კაცები.

არ შეგვიძლია დაეთანხმოთ ამას, ვინაიდან რუსეთში ჯარის-კაცი საზოგადოდ ყოველთვის იგზავნება თავის სამშობლო მხარეს გარედ და ამიტომ არ შეიძლება ეს უფლება მიენიჭოს მაინცადამაინც ქართველებს და მოვაკლოთ თვით რუსებს, პოლონელებს, ლიტოველებს, ფინლანდელებს, ლატიშებს, ესტებს, თათრებს და სხვებსაც.

არა, ეს შეუძლებელია. ჯარი იქ უნდა იდგეს, სადაც საჭირო არის და ამას გარდა მთელი რუსეთის ჯარი ერთნაირი უნდა იყოს ყველგან. რა ჯარი იქმნებოდა ის ჯარი, რომლის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ენაზე ილაპარაკებდა, ერთმანეთისას ვერაფერს გაიგებდა, და ამიტომ აუცილებლად არის საჭირო ჯარი ერთმანეთში შერეულ სხვადასხვა ეროვნების ჯარის-კაცთაგან შესდგეს.

ტყუილია ისიც, ვითომც შიდა-გუბერნიებში ქართველების გაგზავნა ანადგურებდეს მათ, ვითომც კავკასიელები ვერ იტანდნენ რუსეთის ჰავას. ქართველები უმეტეს ნაწილად მთებში ცხოვრობენ, სადაც ჰავა მეტად ნაირ-ნაირია და ზოგიერთი მათგანი, როგორც, მაგ., თუშები, ფშავები, ხევსურები, რაჭველები და სვანი უკეთესად იტანენ შიდა-გუბერნიების ჰავას, ვიდრე ქუთაისისას და ტფილისისას.

შიდა-გუბერნიებში გაგზავნილ კავკასიელთა შეუჩვეველ პირობებზე თუ ვილაპარაკეთ, ეს ხომ თვით რუსებზედაც ითქმის იგივე და ამიტომ, ეს პირობები თუ არის მავნებელი, ასეთივე მავნებელი უნდა იყოს უთუოდ რუსებისთვისაც.

უნდა ვეცადოთ, რომ მიენიჭოს ქართველებს ისეთივე უფლებები, რომელიც აქვს შიდა-გუბერნიების მცხოვრებლებს, მაგრამ არ შეიძლება მივანიჭოთ ქართველებს რამე პრივილეგიები, განსაკუთრებული უფლება.

ამას გარდა რეფორმები თუ შემოვიდა, კავკასიაში ყველასათვის უნდა შემოვიდეს უთუოდ და არა მარტო ქართველებისთვის და ამიტომ კავკასიის დანარჩენ ერებსაც უნდა მივანიჭოთ იგივე უფლება, რომელსაც ითხოვს თავისთვის ამ ჟამად ქართველი ერი.

კავკასიაში ნაკლებად ან თითქმის სრულებით არ აქცევენ ყურადღებას მაჰმადიანებს და ესენი ამიტომ ათასნაირ ავაზაკობას ადგებიან. ავაზაკობის მოსასპობად საჭიროა სწავლა-განათლების გავრცელება ამ ხალხში.

ამას გარდა, ავაზაკობის მოსასპობად საჭიროა თვით ხალხს მივმართოთ, ვინაიდან საპოლიციო ზომები ამ შემთხვევაში უნაყოფო აღმოჩნდა. თვით ხალხმა უნდა გამოარკვიოს, თუ რა ზომებით შეიძლება ავაზაკობასთან ბრძოლა და მისი მოსპობა.

მაგრამ ისიც უნდა სთქვას ადამიანმა, რომ კავკასიაში მარტო ავაზაკები როდი ცხოვრობენ. 80% მაინც მშვიდობიანი ხალხია იქ, რომელიც არ ემხრობა ავაზაკებს, და ამიტომ სრული უფლება გვაქვს მივანდოთ თვით ხალხის წარმომადგენლებს იმ ზომების გარკვევა, რომელიც საჭიროა ავაზაკობის მოსპობისთვის, მით უფრო რომ ამდენი ხნის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა ამ საქმეში საპოლიციო ზომების სრული უვარგისობა“.

არ გიკვირს, მკითხველო? ან რად უნდა გაგიკვირდეს, როდესაც ამნაირ ლათაიებს წინადაც ნაჩვევი ყოფილხარ. კავკასიის ხალხთა 20 პროცენტი ავაზაკი ყოფილა თურმე და აი ამ ავაზაკობის მოსასპობად შეიძლება ეწყალობოს კავკასიას წარმომადგენლების არჩევის უფლება. არ შეიძლებაო კავკასიელების სამხედრო სამსახურისთვის კავკასიაშივე დატოვება, ტყუილია, ვითომ ისინი იხოცებოდნენ რუსეთში. კავკასიელები — ქართველები მთებში იცხოვრობენ და ქუთაისსა და ტფილისში უფრო იხოცებიანო, ვიდრე შუაგულ რუსეთში!

ნაცნობი ჰანგებია, ის ჰანგები, რომელიც ხშირად გვსმენია „ნოვოე ვრემიაში“. „რუსი“, ის „რუსი“, რომელიც ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში სამართლიანობას იჩემებს, თავის ფურცლებზე ადგილს უთმობს ამ... სისულელეს. რაღა სანდოა ის გაზეთი, რომელიც დღეს ხელს გვიწყობს სამართლიან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და თან ამ მოთხოვნილებას სამარეს უთხრის, კავკასიაში ერთი მეხუთედი ხალხი ავაზაკობსო!..

ძნელია ამნაირ პირთა იმედით დარჩენა! და საკვირველიც არ არის, რომ ამ წერილის ავტორი ნიღაბს იფარებს და ვერ ჰბედავს თავის ვინაობის გამომჟღავნებას. „კავკასიელი რუსი“ ვარო, ასე აწერს ხელს წერილს. ჩვენთვის ესეც საკმარისია, სხვას რაღას უნდა მოველოდეთ, ნეტავი, მისგან?...

თეატრი და ხელოვნება

შაბათს, 12 მარტს, სომხურ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ს. თარაიანის 5 მოქმედებიანი ისტორიული სურათები: „განთიადი“.

ამ სურათებში გამოხატულია გამოჩენილ სომეხ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება, იმათი ბრძოლა ხალხში სიბნელის მოსასპობად. დასურათებულნი არიან სომეხთა მოღვაწენი ს. ნაზარიანი, ს. შაჰაზიზი, მ. ნალბანდიანი და სხვა მათი თანამედროვე პირები. წარმოდგენამ მწყობრად ჩაიარა, ქ-ნ სირანუიშმა მშვენიერად ჩაატარა თავისი როლი. კარგად ითამაშეს ბბ. პეტროსიანმა, ოჰანიანმა, რშტუნიმ, მერალიანმა, ჰარუთუნიანმა. საზოგადოებამ სურათების ავტორს მიართვა დაფნის გვირგვინი. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო.

კორესპონდენცია

ქ. სიღნაღი. 9 თებერვალს, დილით 9 საათზე მთელ ქალაქს ელვის უსწრაფეს მოეფინა სამოქალაქო სკოლის მოსწავლეთა გაფიცვის ამბავი. მე, ამ სტრიქონების დამწერი, გავეშურე სამოქალაქო სასწავლებლისკენ და ვნახე შემდეგი სურათი: სასწავლებლის პირდაპირ, სამოსამართლო შენობის აივნის ქვეშ იდგა 10—12-დე შეიარაღებული სტრაჟნიკი. სასწავლებლის ეზოში ირეოდნენ მთელი ქალაქის გზირები მსხვილის მათრახებით ხელში. ამათ ხელმძღვანელობდა „სტარში გოროდოვოი“, მეტის-მეტად ერთგული მათრახისა. სასწავლებლის კარებზე იდგა ამავე სასწავლებლის „სტოროჟი“. კარი მაგრად ჩაკეტილია. სასწავლებლის გრძელსა და ფართო ტალანში ემაწვილები ლოცულობდნენ სწავლის დაწყების ლოცვას. გაათავეს ლოცვა და გაისმა ზარის წკრიალა ხმა: „აბა კარში, კარშიო!“ იგრიალა ორასამდე ემაწვილმა, გამოცვივდნენ ეზოში და მოითხოვეს ინსპექტორი. აქ მოცვივდნენ შეიარაღებული „სტრაჟნიკები“. გაისმა ინსპექტორის მკაცრი „აკრუჟაიტე იხ!“ და თოფებ მიშვერით, როგორც სტრაჟნიკები, ისე ქალაქის გზირები, ემაწვილებს გარს შემოერტყნენ. ემაწვილებმა თამამად და დაურიდებლად შესძახეს ინსპექტორს, რად მოგირეკია სტრაჟნიკები იარაღით? ჩვენ ვის რას ვუშავებთ? ნუ თუ იარაღით და ძალმომრეობით გინდათ ხმა ჩაგვაწყვეტინოთ? რატომ ყურადღებას არ აქცევთ ჩვენ განონიერ მოთხოვნას? ჩვენი მშობლები ტანიდან სამოსელს იხდიან, ჰყიდიან და შემოაქვთ სწავლის ფული (წელიწადში 16 მანათი), თქვენ კი შალთაი ბალთაის გვასწავლით. აი კურსს ვათავებთ და ვინმე რომ დაგველაპარაკოს, სწორედ გარკვევით პასუხს ვერ ვაძლევთ და სირცხვილისაგან ვწითლდებით და სხვ. ქართველმა ქართული არ იცის, სომეხმა სომხური, აგიდიათ მარტო ოდენ რუსული და ნეტავ ეს ენა მაინც რიგიანათ გვასწავლოთ, სახლ-კარსაც ვკარგავთ და სწავლასაცა. ამას შემდეგ ინსპექტორს თავისი წერილობითი მოთხოვნილებანი გადასცეს და შემდეგ გამართნენ ქალების სასწავლებლისაკენ, იქიდან გაიარეს ლაინოზოვის სასწავლებელთან და მივიდნენ წმ. ნინოს მონასტრის სასწავლებელში. გზა სიმღერით გაიარეს. განზრახვა ჰქონდათ, მოსწავლე ქალებიც გამოეფხიზლებინათ. მაგრამ ქალების სასწავლებლებმა და ლაინოზოვისამ ჩაიკეტეს ცეხ-დარაბაზე და მორთეს ვაიუშველებელი წუწუნ-ტირილი და გოდება. მონასტერმა ასტეხა ზარების რეკა, მოითხოვა ჯარი და შეიქნა ერთი ვაი-უშველებელი, წივილ-კივილი. ემაწვილები კი დადიოდნენ წყნარად, დინჯად და გაიძახოდნენ „გაუმარჯოს ჩვენს მოთხოვნილებებსაო“. აი მოწაფეთა მოთხოვნილებანი: 1. ყველა საგნების სწავლება ქართულ ენაზედაც იყოს, 2, რუსული ენა იყოს სავალდებულო, როგორც ერთი საგანი, 3, გაგვიმართონ ბიბლიოთეკა, ქართულ-რუსულ და სომხურ ენებზე, 4, გამოიწერონ ჟურნალ-გაზეთები, როგორც რუსული, ისე ქართული და სომხური, 5, მოუმატონ სკოლას სამეურნეო და სახელოსნო ნაწილი, 6, სუსტი მოწაფენი მასწავლებლებმა უფასოთ მოამზადონ ყველა საგნებში, 7, ნება გვქონდეს ვიაროთ წარმოდგენებზე, კრებებზე და იქ, სადაც კი ჩვენი გონება განვითარდება, 8, სამღვთო სჯულის მასწავლებელს ნება არა ჰქონდეს გაკვეთილებზე ჩამოაგდოს პოლიტიკაზე ლაპარაკი, 9, სწავლა უეჭველად სავალდებულო და უფასო იყოს. ღარიბებსა და ობლებს ტანთსაცმელი და სასწავლო ნივთები მიეცეთ სახელმწიფოდ, 10 გაუქმებულ იქმნას „ეგზამენები“, 11, ისე მოეწყოს სასწავლებელი, რომ საშუალო სასწავლებელში ყველა აქ კურს დასრულებული უეგზამენოთ მიიღებოდეს.

სიღნაღელი.

რუსეთი

გლეხების მოძრაობა თანდათან ძლიერდება რუსეთშიც. იურიევის მაზრაში 300—400 კაცი შემორტყმია გარს ბარონ ნოლკენის მამულს და თავისი პირობების შესრულება მოუთხოვია. როცა ამაზე უარი მიუღია, ხალხს სახლისკენ გაუწევია. ამ დროს ბარონის მოურავს თოფი უსვრია, ერთი მუშა მოუკლავს და ერთი დაუჭრია. გამძვინვარებულ ხალხს მაშინ სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებია და ყველაფერი მიულეწ-მოულეწია.

გლეხების ძლიერი მოძრაობა დაწყებილა დვინსკშიც. ჯერ კიდევ თებერვალში ელოდნენ მოძრაობას, რადგან როგორც ხმა დადიოდა, ამ თვეში იქით მხარეს მობილიზაცია უნდა მომხდარიყო. ამას თვითონ გლეხებიც არ მალავდნენ, ხმა მაღლა აცხადებდნენ, რის გამოც ბევრმა მემამულემ მაშინვე საშველად სამხედრო რაზმები გამოითხოვა. თუმცა მობილიზაცია არ მოხდა, მაგრამ გლეხებმა მაინც მღელვარება დაიწყეს. პირველად მოძრაობა ტყეების კაფვით გამოიხატა. მოგროვდებოდა 300 კაცი, ცულებით შეიარაღებული, და მიესეოდა ტყეს. შემთხვევა იყო, რომ პოლიციელები და „ურიადნიკებიც“ გალახეს. ადმინისტრაციამ მოძრაობის დასამხობად ჯარი გამოიწვია და გლეხებმა, აი, მაშინ დაიწყეს კიდეც სახლების წვა-განადგურება და სხვადასხვა სახის ძალდატანება. ამნაირად თებერვალში ექვსი მამული გაანადგურეს. მოვიდა გუბერნატორი. 500 გლეხია დაჭერილი. მოკლულთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის. 100 დესეტინა ტყე გაჩეხილი (ს. ო.).

პროვინციაში სამღვდელოება, თურმე, პოლიციის როლს კისრულობს და პოლიციასთან ერთად ხალხს უსევს „სამშობლოს მტრებს“... აი მაგალითად, რა „სულიერი“ რჩევა-დარიგებით მიუმართავს თავის სამწყსოსათვის ბორისოგლებსკში მღვდელს ორლოვს: „მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო! საგმირო საქმეს ჩაიდენთ, თუ ცრუ მასწავლებლებს გვეცემთ და პოლიციას ჩააბარებთ. ამ გმირობისათვის თქვენ უმართებულესი სინოდი ცოდვებს მოგიტევებთ: ძმანო! მომეცით სიტყვა, რომ თქვენ ამხანაგებს გასცემთ? წმინდა ჯვარის წინ შემომფიცეთ, რომ თქვენ პოლიციის ხელში ჩააგდებთ იმათ, ვინც თქვენ მთავრობის წინააღმდეგ გაღელვებთ? უკანასკნელ შემთხვევაში მე ნებას აღარ მოგცემთ, რომ ჯვარს ემთხვიოთ. (ს. ო.).

მინისტრთა განსაკუთრებულმა საბჭომ ს. ვიტტეს თავმჯდომარეობით 8 მარტს მსჯელობა იქონია პოლონეთში **სწავლის პოლონურ ენაზე** შემოღების შესახებ... უმეტესობის აზრით, პოლონურ სკოლებში რუსულ ენაზე სწავლამ რუსები და პოლონელები თანდათან ერთმანეთს დააშორა და შეაძულა, 30 წლის სასკოლო სისტემამ სრულებით ვერ გაამართლა იმედები, რომელსაც პოლიტიკა მასზე ამყარებდაო. ამიტომაც საბჭომ სასურველად იცნო პოლონურ სკოლებში სწავლის პოლონურ ენაზე შემოღება და სახალხო განათლების მინისტრს დაავალა, წარმოადგინოს სასკოლო რეფორმის გეგმა, რომელსაც საძირკვლად პოლონურ სკოლაში ეროვნულ ენაზე სწავლება უნდა ედოს. (რ.)

9 მარტს ვარშავაში სამხედრო რაზმისათვის ყუმბარა უსროლიათ. დაჭრილა 7 ჯარის-კაცი და პოლიციელი. ახლო-მახლო სახლებში ფანჯრები დამტვრეულა. დამნაშავენი გაქცეულან (მ. ვ.).

5 მარტს რიგაში პეტერბურგის მატარებლისთვის ხალხს თოფის სროლა აუტეხია. მატარებლით, თურმე პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარე მაკსიმოვიჩი მიდიოდა. (მ. ვ.).

„რეცეპტი“ რუსის მოქალაქეს: „სახლში დაჯექით, ფეხის ფრჩხილებზე იარეთ, ფარდები ჩამოაფარეთ ფანჯრებს, ღამე სანთელს ნუ აანთებთ.

მაგრამ... მე მგონია, რომ ეს რჩევა თქვენთვის მეტია, რადგანაც, უეჭველია, უამისოთაც სახლში ზიხართ, ფანჯრები დაკეტილი გაქვთ, სახეზე სამგლოვიარო ფერი გადევთ, იმიტომ რომ, თუ თქვენ დიდი ოჯახის მამა ხართ, — ამ ბოლო დროს, უეჭველია, უთუოდ, ვინმე მკვდარი გეყოლებათ.

ან ვაჟი — სატახტო უნივერსიტეტის სტუდენტი.
ან ვაჟი — ბრძოლის ველზე მყოფ ჯარის აფიცერი.
ან ვაჟი — გიმნაზიელი.
ან ქალი — კურსისტკა.
ან სიძე — სომეხი.
ან სიმამრი — ებრაელი.
ან შორეული ნათესავი — მუშა.
ან კიდევ თქვენ თითონ მოკვდებოდით, თუ მეტადრე ბანკეტებზე და სხდომებზე სიარული გიყვართ („ნოვ.“).

წერილი რედაქციის მიმართ.

ამს წინად „ივერიაში“ (№ 16) მოთხრობილი იყო, სხვათა შორის, რომ ეგზარხოსს წარუდგნენ გუბერნიის წინამძღოლის თანაშემწეობის აღმასრულებელი თავ. ალექსანდრე ორბელიანი, გორის მაზრის თავად-აზნაურობის დეპუტატი თავ. გრიგოლ დიასამიძე და გუბერნიის წინამძღოლის მდივანი ალექსანდრე ყანჩელი და სთხოვეს გორის ეპისკოპოსის ადგილზე დაენიშნათ ქართველი „ან ისეთი პირი, რომელსაც ქართული ეცოდინებაო“. ეს უკანასკნელი ხაზ-გასმული სიტყვები ჩვენ არ წარმოგვითქვამს. ჩვენ სრულებით გარკვევით ავუხსენით საქართველოს ეკლესიის ახლანდელ მმართველს, რომ ჩვენს ეკლესიას საჭიროა ისეთი პირები, რომელნიც ჭეშმარიტად ემსახურებიან ქართულ ეკლესიის ინტერესს და პოლიტიკაზე შორს არიან. ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო, ამჟამად ვერ ვაქვეყნებთ ჩვენს ბაასს ეგზარხოსთან.

ამ მოკლე ხანში დაპირებისამებრ წარუდგენთ ეგზარხოსს ვრცელ მოხსენებას, რომელშიაც დაწვრილებით იქნება მოყვანილი ქართული ეკლესიის საჭიროებანი, დამყარებულნი ღრმა ისტორიულ საფუძველზე.

გრიგოლ დიასამიძე.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

15 მარტი.

პეტერბურგი, 15 მარტი. უმაღლესის ბრძანებით მანჯურიის მესამე ლაშქარის სარდალი ბარონ კაულბარსი მანჯურიის მეორე ლაშქრის სარდლად დაინიშნა; გენერალი ბატიანოვი — მესამე ლაშქრის უფროსად.

ლონდონი. ვლადივოსტოკში ქვანახშირის წასაღებად რუსებისაგან დაქირავებულ სამის გემის დამქირავებელნი ლონდონის სასამართლოში დაიბარეს გემის პატრონების განცხადების ჩასაბარებლად, რომ გემები შანხაის იქით ვეღარ წავლენო.

ლონდონი. იაპონიის საელჩო იუწყება ტოკიოდან, რომ იმ არა-სამხედრო პირთაგან, რომლებიც მუკდენის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაატყვევეს, შემდეგნი გაუნთავისუფლებიათ: 47 სამოქალაქო მოხელე და ობერ-აფიცერი, 359 უნტერ-აფიცერი, 9 და სათნოებისა 2 მღვდელი და 4 ვაჟარი, რომლებიც ლაშქრებს ახლდნენ; შემდეგ პირებს გაანთავისუფლებენ, იმათ სურვილისამებრ, ჩიფუსა ან შანხაიში: 23 ობერ-ოფიცერს და 299 უნტერ-აფიცერსა და 23 დას სათნოებისას.

შანხაი. რუსები ემზადებიან ვლადივოსტოკში ჩასაკეტად, თუ მტერმა ალყა შემოარტყა, და რკინის გზის შტოსა და ტრამვაის აშლიან.

ტოკიო. ამბობენ, რუსებმა ჩანჩუნიც მიატოვეს, რადგან სამხედრო მასალა და სურსათი გამოილიათ. როგორც ამ ქალაქიდან, ისე გირინიდანაც რუსებმა საერთოდ უკან დაწევა დაიწყეს ჩრდილოეთისკენ.

ლონდონი. ერთი კორესპონდენტი დაბრუნდა მადაგასკარიდან, საცა ჯავშნოსანი „კნიაზ სუვოროვი“ და ბალტიის ესკადრის სხვა გემებიც დაუთვალიერებია და ამბობს, ადმირალ როჟესტვენსკის სასწაული ჩაუდენიაო როდესაც ესკადრა ევროპიდან წავიდა, გემები ვერ იყო რიგიანად მოწყობილი და მეზღვაურნიც დაუხელოვნებელნი, გაუწვრთნელნი და ურჩნი იყვნენ. ამგვარი მე არა მინახავს-რა; თუმცა სამხედრო გემებს არ წაავადნენ, მაგრამ შიგნით ყველაფერი სუფთად და თავის რიგზე იყო; გარედან-კი ლოკოკინები შემოჰკროდა. თუმცა სიცხე და სინესტე ხელს არ უწყობდა, მაგრამ ადმირალმა მეზღვაურნი ჯანმრთელად შეინახა. დისციპლინა სამაგალითოა, ყოველდღე ვარჯიშობაა, ადმირალის თანადასწრებით. მეზღვაურთ იმდენი სამუშაო აქვთ, რომ განცხრომის დრო აღარ არის. ყველა აფიცერი მოწადინებულია იაპონიის ფლოტს შეყაროს.

ლონდონი, 15 მარტი. „დეილი ტელეგრაფს“ შესაძლოდ მიაჩნია მოლაპარაკება გაიმართოს ზავის შესახებ და ჰფიქრობს, სამთა კავშირი, ინგლის-იაპონია-ამერიკისა, სასურველი არ არისო. მონროეს დოქტრინა იაპონიის და ამერიკის დაახლოვებას ხელს შეუშლისო. სამაგიეროდ იაპონიის ინტერესები არ ეწინააღმდეგება ინგლის-იაპონიის გალაშქრება-მოსაგერებელ კავშირს, რომელმაც, შესაძლოა, იაპონიას ხელი აიღებინოს კონტრიბუციაზე, მაგრამ სამუდამოდ უნდა მოსპოს შიში რუსეთის შესევისა ინდოეთში, მშვიდობიანობა უნდა დაამყაროს შორეულ-აღმოსავლეთში, ჩინეთის კარი გაღოს, საერთაშორისო ვაჭრობა გააძლიეროს შორეულ-აღმოსავლეთში და რუსეთსაც კი სარგებლობა მოუტანოს, რადგან მას ეჭირვება განვითარება და ექსპლოატაცია.

პარიზი, 15 მარტი. იაპონიის ახალ სესხის სინდიკატი ცდილობს საფრანგეთშიც გაასაღოს სესხი. ეტყობა, ინგლისი სავსეა იაპონიის ფონდებით და პირობებიც ხელსაყრელი არ არის. პარიზის ბირჟის მაკლერებმა გამოაცხადეს, ტყუილია ის ხმა, ვითომც რუსეთის სესხზე მოლაპარაკება მოისპოო. სესხი, საფიქრებელია, აპრილში გამოიცემა.

ვიბორგი. ვისაც-კი რამე მონაწილეობა აქვს იმ საქმის გამოძიებასთან, გუბერნატორს მოსაკვლელად რომ დაეცნენ, მუქარის წერილები მოსდით, გამოძიებას ძალიან ნუ გამოიკვლევთო.

ლონდონი. ოფიციალურად უარჰყოფენ იმ ამბავს, ვითომც მეფე ედუარდს განზრახვა ჰქონოდეს დანიაში წასულიყო და შუამავლობა აღეძრა რუსეთ-იაპონიის მისარიგებლად. მეფე მხოლოდ იმიტომ მიდის, რომ თავის მხცოვან სიმამრს დაბადების დღე მიულოცოს.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორს შინაგან საქმეთა მინისტრმა მოხსენება წარუდგინა, ჩისტოპოლში წყალდიდობის გასავსებად ჩელიშევს ქვრივმა 100,000 მანათი შესწირაო, და ხელმწიფემ უმოწყალესად წააწერა საკუთარის ხელით: **სიამოვნებით წავიკითხე და შემომწირველს მადლობას ვუცხადებ.**

კანეა. დიდი აჯანყება დაიწყო ბატონიშვილის გიორგის მოქმედების გამო, რომელსაც აბსოლიუტიზმის ხასიათი აქვს. ხალხსა და ჟანდარმებს შეტაკება მოუხდათ. აჯანყება კარგად არის მომზადებული. აჯანყებულები თხოულობენ, სხვათა შორის, საკონსტიტუციო თვითმართველობას და უმაღლეს კომისარის უფლების შეზღუდვას.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატაში ლორდ პერსიმ განაცხადა, ოსმალეთის ჯარმა სოფელ სმოლში, სალონიკის ოლქში, 40 აჯანყებულთაგანი აიკლო მათგან მხოლოდ 4 გადარჩა და მათი წინამძღოლი აპოსტოლი. რუსის ჟანდარმს თავის თვალით უნახავს, რომ ოსმალოს ჯარი, შეტაკების დროს, თავდასხმელი იყო, არც სოფელსა და არც მცხოვრებთ არა ავნოდა. ინგლისის ელჩმა მოსთხოვა უფროს ვეზირს, რომ ენერგიული ღონისძიება მიიღოს იმ ჯარის კაცთა დასასჯელად, რომლებმაც ძალმომრეობა გასწიეს კუმანოვოში 21 იანვარს. გამოძიება დანიშნულია, კომისიაში მაკედონიის ჟანდარმერიის რუსის აფიცერიც იქმნება.

რომი. კონსისტორიაში პაპმა განუცხადა, ვატიკანის და საფრანგეთის დამოკიდებულობის გამო, საუბედუროდ, კონკორდატის გაუქმების შიში გამართლდაო, და დაუმატა, მე კი ამის წინააღმდეგ ვიყავიო.

ლონდონი, 14 მარტი. რუსეთში მომხდარ უწესოების მსხვერპლთა სასარგებლოდ ხელის მოწერა დღეს დასრულდა. შემოსულია 800—900 გირვანქა სტერლინგი, განსაკუთრებით მუშათა კავშირებისაგან შემოტანილი. დაზარალებულთ 700 გირ. დაურიგეს.

ლისაბონი, 14 მარტი. ბაქოში მომხდარ უწესოებათა დროს ქურდობაში შემჩნეულ-დაჭერილი როსტოვცევი, იგივე როზენბერგი, მიღდერი და სამხედრო ექიმი ბოზოვი, პეტერბურგს გააგზავნა.

კანეა, 14 მარტი. საერობო კრების პრეზიდენტმა იამანაკისმა განუცხადა ევროპიელ ელჩებს, რომელნიც საერთაშორისო ჯარისაგან დაკავებულ მიდამოებში არიან, რომ იგი სთხოვს სახელმწიფოებს, ძალით მხარი არ დაუჭირონ ახლანდელ მდგომარეობას. ქვეყნის გამგებლობას აღმასრულებელი კომიტეტი ასრულებს. გემი „ხრაბრი“ მოვიდა და მაშველი ჯარი მოიყვანა.

პარიზი, 14 მარტი. „ჟურნალ დე-დება“ ამბობს, რუსეთის კრედიტს ზოგიერთი უცხოელი სოციალისტები, რომელთაც ჭორივით ეჯავრებათ მონარქიული რუსეთი, სახელს უტეხდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. თუ კეთილსინდისიერად გავეცნობით რუსეთის ფინანსიურ მდგომარეობას, დავრწმუნდებით, რომ 1889 წლიდან 1903 წლამდე რუსეთს მხოლოდ ერთი მილიარდი და 200 მილიონი უსესხნია.

ისევ გამოწვევებული კამათია სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევების კანონ-პროექტის მომხრეა, ხოლო ეკლესიის სრულის თავისუფლებისა-კი — წინააღმდეგი.

საზღვაო მინისტრმა განაცხადა, ის ხმა ვითომც წყალ-ქვეშ მავალ ნავების შესახებ საბუთის ქაღალდები მოეპაროთ, საფუძველს მოკლებულიაო.

ვარშავა, 14 მარტი. პრაგის ნაწილში აფეთქების მომხდენი დამნაშავე აღმოჩნდა ზეინკალი სტეფანე ოკრეია, 18 წლისა. როგორც თვითონ სტეფანე ოკრეია, 18 წლისა. როგორც თვითონ განაცხადა, დამნაშავე, თურმე უჭკუოდ ყოფილა.

პარიზი, 15 მარტი. დეპუტატთა პალატაში ნაციონალისტი ბონი დე'კასტელანი ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოსაგან ეკლესიის განშორების კანონპროექტი ეკლესიის გაუქმების პროექტიაო.

ტანჟერი, 15 მარტი. „ტაიმსი“-ს კორესპონდენტის მაჰრის დამჭერელი არაბი გაიქცა ქალაქ ვაზანის შერიფთან, რომელიც საფრანგეთის მფარველობის ქვეშაა. საზოგადოდ ფიქრობენ ეს ამბავი მხოლოდ იმისთვის მოხდა, რომ ვილჰელმის მოსვლას შეუშალოს ხელიო.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № (3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ., ცალკე ოთახში — 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტეროსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე — დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

ახლად გახსნილი
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა
„შრომა“
(ფრეილინის ქუჩა, სახელმწიფო ბანკის გვერდით)
იღებს ყოველგვარ საბეჭდავსა და საკაზმავს საქმეებს, რუსულ, ქართულ, სომხურ და ფრანგულ ენებზე და ასრულებს ძლიერ სუფთად და თავის დროზე, ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასებში,

თხზულება ნ. ნიკოლაძისა
იაპონია
ფასი — 20 კ. აქვე იყიდება დიდი სურათი
შოთა რუსთაველისა ფ. - 50 კ.
ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა“.

(10—31—3)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 15 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ ფრეილინის ქ. № 5.